

შპს გურჯაანი აგრო

ფინანსური ანგარიშგება და მმართველობის ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად

სარჩევი:

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა	3
---------------------------------------	---

ფინანსური ანგარიშგება

მოგება ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება.....	7
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება.....	8
კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება	9
ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება	10

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია	11
2. მომზადების საფუძველი.....	11
3. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა	14
4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და მსჯელობები	20
5. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა.....	21
6. ამონაგები	24
7. ზარალი სასოფლო-სამეურნეო საქმიანობიდან	24
8. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	25
9. ძირითადი საშუალებები.....	25
10. ბიოლოგიური აქტივები	26
11. მარაგები	26
12. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები.....	26
13. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	27
14. სესხები	27
15. ნაშთები და ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან.....	28
16. პირობითი ვალდებულებები.....	29
17. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები	30
მმართველობის ანგარიშგება	31

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს „გურჯაანი აგროს“ მფლობელებს და ხელმძღვანელობას

უარყოფითი მოსაზრება

ჩავატარეთ შპს გურჯაანი აგროს (შემდგომში კომპანია) თანდართული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ასევე აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის მოგება ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგების, კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგების და ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგებისგან, ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისა და სხვა განმარტებითი ინფორმაციისგან.

ჩვენი აზრით, ჩვენი დასკვნის - „უარყოფითი მოსაზრების საფუძველი“ - ნაწილში აღწერილი საკითხის მნიშვნელობის გამო, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად არ ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ასევე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად.

უარყოფითი მოსაზრების საფუძველი

როგორც ეს აღწერილია ფინანსური ანგარიშგების მე-2 განმარტებით შენიშვნაში, ხელმძღვანელობამ დაადგინა, რომ აღრიცხვის საფუძველად აღარ არის მიზანშეწონილი საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენება. მიუხედავად ამისა, ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია 2023 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლის ფინანსურ ანგარიშგებაში განმარტებული სააღრიცხვო პოლიტიკის შესაბამისად, რომელიც შემუშავებული იყო საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის საფუძველზე და არ ასახავს კომპანიის ამჟამინდელ სტატუსს, როგორც „არაგრძელვადიანად მოქმედი საქმიანობა“. არ განხორციელებულა შესაბამისი შეფასებითი კორექტირებები, რომლებიც ასახავდა კომპანიის რეალურ მდგომარეობას ამ ახალი გარემოების გათვალისწინებით. გარდა ამისა, ფინანსურ ანგარიშგებაში არ არსებობს სათანადო გამჟღავნება ან შეფასებითი კორექტირება, რომელიც აღწერდა ახალ სააღრიცხვო საფუძველს და მის გავლენას ფინანსურ მაჩვენებლებზე. შესაბამისად, მიგვაჩნია, რომ ფინანსური ანგარიშგება არსებითად და ყოვლისმომცველად არის დამახინჯებული.

2024 და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანია წარმოადგენს მშობელი საწარმოს და მისი შვილობილი კომპანიების მიერ მიღებული სესხის გარანტორს, ხოლო მისი კონტროლის ქვეშ არსებული აქტივები წარმოადგენს აღნიშნული სესხის უზრუნველყოფას. კომპანიის მიერ დადებული ფინანსური გარანტიის ხელშეკრულება საწყისად აღიარებული იყო ნულოვანი ღირებულებით. საანგარიშგებო პერიოდის დასრულების შემდეგ, აღნიშნული გარანტიის საფუძველზე კომპანიის გრძელვადიანი აქტივების ნაწილზე კონტროლი გადაეცა სესხის გამცემ ფინანსურ ინსტიტუტს, ხოლო დარჩენილი აქტივები კვლავ განაგრძობს აღნიშნული სესხის უზრუნველყოფას. მიუხედავად ზემოაღნიშნული გარემოებებისა, კომპანიას არ შეუფასებია და არ უღიარებია ფინანსური გარანტიის ხელშეკრულებიდან წარმოშობილი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი. ჩვენი შეფასებით, კომპანიის მიერ უნდა ყოფილიყო აღიარებული ზარალი, რომელიც მოიცავს როგორც უკვე დადასტურებულ ზარალს, რაც გამოიხატა ფინანსური ინსტიტუტის მიერ აქტივების დასაკუთრებით, ასევე დარჩენილი უზრუნველყოფილი ვალდებულებიდან გამომდინარე შესაძლო დამატებით ზარალს. ზარალის ზუსტი ოდენობის განსაზღვრა ჩვენთვის შეუძლებელია, თუმცა არსებულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით, მიგვაჩნია, რომ კომპანიის მიერ აღიარებული ზარალი არსებითად და ყოვლისმომცველად ცვლის ფინანსური ანგარიშგების შესაბამის ელემენტებს და საჭიროებს კორექტირებას.

ჩვენ ვერ შევძელით საკმარისი და შესაფერისი მტკიცებულების მოპოვება სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის ხარჯები, იყო თუ არა გამოყენებული მიზნობრივად კომპანიის საქმიანობის მხარდასაჭერად. ვენახების მდგომარეობისა და მოსავლიანობის გათვალისწინებით, სხვა ალტერნატიული პროცედურითაც ვერ შევძელით საკმარისი და შესაფერისი მტკიცებულების მოპოვება აღნიშნული ხარჯების წარდგენის სისწორეზე, რაც 2024 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის შეადგენს 4,267,792 ლარს. შედეგად, ვერ განვსაზღვრეთ, საჭირო იყო თუ არა რაიმე კორექტირების შეტანა სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის ხარჯებთან და ფინანსური ანგარიშგების შემადგენელ სხვა ელემენტებთან დაკავშირებით.

როგორც ეს განმარტებულია ფინანსური ანგარიშგების მე-9 და მე-10 განმარტებით შენიშვნაში, 2024 და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არსებობდა ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის გაუფასურების ნიშნები. ხელმძღვანელობამ არ განახორციელა ტესტირება გაუფასურებაზე. სხვა ალტერნატიული პროცედურითაც ვერ შევძელით საკმარისი და შესაფერისი მტკიცებულების მოპოვება ზემოთ მოცემულ თარიღებში ძირითადი საშუალებების და ბიოლოგიური აქტივების საბალანსო ღირებულება აჭარბებს თუ არა მათ ანაზღაურებად ღირებულებას. ძირითადი საშუალებების და ბიოლოგიური აქტივების საბალანსო ღირებულება, რომელზეც ვერ შევძელით საკმარისი და შესაფერისი მტკიცებულების 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენს შესაბამისად 28,494,680 ლარს და 26,054,273 ლარს, ხოლო 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ძირითადი საშუალებების ქვეჯგუფის ნაგებობების საბალანსო ღირებულება 19,101,546 ლარს და ბიოლოგიური აქტივების საბალანსო ღირებულება 25,915,192 ლარს. შედეგად, ვერ განვსაზღვრეთ საჭირო იყო თუ არა რაიმე კორექტირების შეტანა ფინანსურ ანგარიშგებაში ძირითადი საშუალებების და ბიოლოგიური აქტივების საბალანსო ღირებულებასთან და ფინანსური ანგარიშგების სხვა ელემენტებთან დაკავშირებით.

კომპანიას არ ჩაუტარებია ძირითადი საშუალებების და ბიოლოგიური აქტივების ინვენტარიზაცია 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. სხვა ალტერნატიული პროცედურითაც ვერ შევძელით საკმარისი და შესაფერისი მტკიცებულების მოპოვება ზემოთ მოცემულ თარიღებში მიწის გარდა ძირითადი საშუალებების და ბიოლოგიური აქტივების არსებობისა და მდგომარეობის შესახებ. აღნიშნული აქტივების საბალანსო ღირებულება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენს ძირითადი საშუალებები გარდა მიწისა 22,481,651 ლარი და ბიოლოგიური აქტივები 26,054,273 ლარი. შედეგად, ვერ განვსაზღვრეთ, საჭირო იყო თუ არა რაიმე კორექტირების შეტანა ძირითად საშუალებებთან, ბიოლოგიური აქტივებთან და ფინანსური ანგარიშგების შემადგენელ სხვა ელემენტებთან დაკავშირებით.

აუდიტი წარმართეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს-ების) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის - „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“ - ნაწილში. ჩვენ დამოუკიდებლობით ვართ კომპანიისგან ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბესსს) პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსისა და იმ ეთიკური ნორმების შესაბამისად, რომლებიც ეხება ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტს საქართველოში; გარდა ამისა, შევასრულეთ ამ ნორმებით და ბესსს-ის ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი უარყოფითი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

სხვა ინფორმაცია

სხვა ინფორმაციაზე პასუხისმგებელია კომპანიის ხელმძღვანელობა. სხვა ინფორმაცია მოიცავს კომპანიის მმართველობის ანგარიშგებას. იმ მიზეზის გამო, რომლებიც აღწერილია უარყოფითი მოსაზრების საფუძვლის ნაწილში, ჩვენ მივიჩნევთ, რომ ფინანსური ანგარიშგება ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით არ არის მომზადებული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად. მმართველობის ანგარიშგებასთან მიმართებით, ჩვენი სამუშაო შემოიფარგლებოდა იმით, რომ განგვესაზღვრა შეიცავს თუ არა მმართველობის ანგარიშგება „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-6 პუნქტის მოთხოვნებს. ჩვენი აზრით, მხოლოდ ამ პროცედურებზე დაყრდნობით:

- 2024 წლის მმართველობის ანგარიშგება ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით თანხვედრაშია ამავე წლის ფინანსურ ანგარიშგებასთან და მოიცავს „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-10 პუნქტით მოთხოვნილ ინფორმაციას.

აუდიტორის დასკვნაში, უარყოფითი მოსაზრების საფუძვლის ნაწილში აღწერილი საკითხების მნიშვნელობიდან გამომდინარე, ჩვენ არ შეგვიძლია გამოვთქვათ მოსაზრება იმასთან დაკავშირებით, შეიცავს თუ არა მმართველობის ანგარიშგება რაიმე არსებით უზუსტობას.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე ანგარიშგებაზე

კომპანიის ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, ასევე, შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია შეაფასოს და, საჭიროების შემთხვევაში, განმარტოს საქმიანობის უწყვეტობა და მასთან დაკავშირებული საკითხები. ასევე, ანგარიშგება მოამზადოს საქმიანობის უწყვეტობის დაშვების საფუძველზე, გარდა იმ შემთხვევისა, როცა განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია, ოპერაციების შეჩერება ან არ აქვს, ამის გარდა, სხვა არჩევანი.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირები პასუხისმგებელნი არიან კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესს გაუწიონ ზედამხედველობა.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მივიღოთ გონივრული რწმუნება, შეიცავს თუ არა მოცემული ფინანსური ანგარიშგება მთლიანობაში თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობებს და გავცეთ დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. გონივრული რწმუნება არის რწმუნების მაღალი დონე, მაგრამ ის არ წარმოადგენს გარანტიას იმისა, რომ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების საფუძველზე ჩატარებული აუდიტი ყოველთვის შეძლებს არსებითი უზუსტობების გამოვლენას.

უზუსტობები შესაძლოა წარმოიშვას თაღლითობის ან შეცდომის შედეგად და არსებითად განიხილება, თუ არსებობს გონივრული მოლოდინი იმისა, რომ ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს მომხმარებელთა ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც მიიღება წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების საფუძველზე.

აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) თანახმად, ჩვენ ვიყენებთ პროფესიულ მსჯელობას და ვინარჩუნებთ პროფესიულ სკეპტიციზმს. ჩვენ ასევე:

- ვადგენთ და ვაფასებთ ფინანსურ ანგარიშგებაში თაღლითობის ან შეცდომის შედეგად არსებითი უზუსტობების დაშვების რისკებს, ვგეგმავთ და ვასრულებთ აუდიტორულ პროცედურებს ამ რისკებზე რეაგირების მიზნით და მოვიპოვებთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოსათქმელად საჭირო საფუძვლის შესაქმნელად. თაღლითობის შედეგად წარმოშობილი არსებითი უზუსტობის ვერ აღმოჩენის რისკი უფრო მაღალია, ვიდრე შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობის, რადგან თაღლითობა შესაძლოა მოიცავდეს ფარულ გარიგებებს, გაყალბებებს, ინფორმაციის განზრახ გამოტოვებას, ინფორმაციის არასწორად წარმოდგენას ან შიდა კონტროლის უგულებელყოფას;
- შევისწავლით აუდიტისთვის მნიშვნელოვან შიდა კონტროლს, რათა დავგეგმოთ მოცემული კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე;
- ვაფასებთ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკების მიზანშეწონილობას, ასევე ხელმძღვანელობის მხრიდან წარმოდგენილი სააღრიცხვო შეფასებებისა და განმარტებითი შენიშვნების გონივრულობას;
- გამოგვაქვს დასკვნა ხელმძღვანელობის მიერ ფუნქციონირებადი საწარმოს სააღრიცხვო საფუძვლის გამოყენების მიზანშეწონილობის შესახებ, ასევე მიღებული აუდიტორული მტკიცებულებების საფუძველზე ვასკვნით, აქვს თუ არა ადგილი არსებით გაურკვევლობებს ისეთ მოვლენებსა და ვითარებებთან მიმართებაში, რომლებმაც შესაძლოა ეჭვის ქვეშ დააყენოს კომპანიის უნარი განაგრძოს ფუნქციონირება საწარმოს უწყვეტი ფუნქციონირების პრინციპით. თუ ჩვენ დავასკვნით, რომ ადგილი აქვს არსებით გაურკვევლობას, აუდიტორის დასკვნაში ყურადღებას გავამახვილებთ შესაბამის ინფორმაციაზე ფინანსურ ანგარიშგებაში ან, თუ ამგვარი ინფორმაცია არაადეკვატური იქნება, შევცვლით ჩვენს დასკვნას. ჩვენი მსჯელობები ეფუძნება ჩვენი აუდიტორთა დასკვნის შედგენის თარიღამდე მიღებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. ამასთან, მომავალში

წარმოშობილმა მოვლენებმა და შექმნილმა ვითარებებმა შესაძლოა აიძულოს კომპანია შეწყვიტოს ფუნქციონირება საწარმოს უწყვეტი ფუნქციონირების პრინციპით;

- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების ზოგად წარდგენას, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის განმარტებით შენიშვნებს და იმას, წარმოაჩენს თუ არა ფინანსური ანგარიშგება ძირითად გარიგებებსა და მოვლენებს ისეთი ფორმით, რომ უზრუნველყოფილ იქნას მთლიანი დოკუმენტის კეთილსინდისიერად წარდგენა.

სხვა საკითხებთან ერთად ჩვენ კომუნიკაცია გვაქვს მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებთან აუდიტის მასშტაბზე, ვადებსა და აუდიტის შედეგად აღმოჩენილი მნიშვნელოვანი საკითხების შესახებ, მათ შორის, შიდა კონტროლის ნაკლოვანებების შესახებ.

გარიგების პარტნიორი, რომელიც პასუხისმგებელია აუდიტზე, რომლის შედეგებიც ასახულია დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნაში, არის:

ივანე ჟუჟუნაშვილი (რეესტრში რეგისტრაციის ნომერი SARAS-A-720718)

შპს „ბიდიო აუდიტის“ სახელით

თბილისი, საქართველო

24 ოქტომბერი 2025

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს „გურჯაანი აგროს“ მფლობელებს და ხელმძღვანელობას

უარყოფითი მოსაზრება

ჩავატარეთ შპს გურჯაანი აგროს (შემდგომში კომპანია) თანდართული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ასევე აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის მოგება ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგების, კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგების და ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგებისგან, ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისა და სხვა განმარტებითი ინფორმაციისგან.

ჩვენი აზრით, ჩვენი დასკვნის - „უარყოფითი მოსაზრების საფუძველი“ - ნაწილში აღწერილი საკითხის მნიშვნელობის გამო, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად არ ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ასევე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად.

უარყოფითი მოსაზრების საფუძველი

როგორც ეს აღწერილია ფინანსური ანგარიშგების მე-2 განმარტებით შენიშვნაში, ხელმძღვანელობამ დაადგინა, რომ აღრიცხვის საფუძველად აღარ არის მიზანშეწონილი საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენება. მიუხედავად ამისა, ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია 2023 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლის ფინანსურ ანგარიშგებაში განმარტებული სააღრიცხვო პოლიტიკის შესაბამისად, რომელიც შემუშავებული იყო საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის საფუძველზე და არ ასახავს კომპანიის ამჟამინდელ სტატუსს, როგორც „არაგრძელვადიანად მოქმედი საქმიანობა“. არ განხორციელებულა შესაბამისი შეფასებითი კორექტირებები, რომლებიც ასახავდა კომპანიის რეალურ მდგომარეობას ამ ახალი გარემოების გათვალისწინებით. გარდა ამისა, ფინანსურ ანგარიშგებაში არ არსებობს სათანადო გამჟღავნება ან შეფასებითი კორექტირება, რომელიც აღწერდა ახალ სააღრიცხვო საფუძველს და მის გავლენას ფინანსურ მაჩვენებლებზე. შესაბამისად, მიგვაჩნია, რომ ფინანსური ანგარიშგება არსებითად და ყოვლისმომცველად არის დამახინჯებული.

2024 და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანია წარმოადგენს მშობელი საწარმოს და მისი შვილობილი კომპანიების მიერ მიღებული სესხის გარანტორს, ხოლო მისი კონტროლის ქვეშ არსებული აქტივები წარმოადგენს აღნიშნული სესხის უზრუნველყოფას. კომპანიის მიერ დადებული ფინანსური გარანტიის ხელშეკრულება საწყისად აღიარებული იყო ნულოვანი ღირებულებით. საანგარიშგებო პერიოდის დასრულების შემდეგ, აღნიშნული გარანტიის საფუძველზე კომპანიის გრძელვადიანი აქტივების ნაწილზე კონტროლი გადაეცა სესხის გამცემ ფინანსურ ინსტიტუტს, ხოლო დარჩენილი აქტივები კვლავ განაგრძობს აღნიშნული სესხის უზრუნველყოფას. მიუხედავად ზემოაღნიშნული გარემოებებისა, კომპანიას არ შეუფასებია და არ უღიარებია ფინანსური გარანტიის ხელშეკრულებიდან წარმოშობილი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი. ჩვენი შეფასებით, კომპანიის მიერ უნდა ყოფილიყო აღიარებული ზარალი, რომელიც მოიცავს როგორც უკვე დადასტურებულ ზარალს, რაც გამოიხატა ფინანსური ინსტიტუტის მიერ აქტივების დასაკუთრებით, ასევე დარჩენილი უზრუნველყოფილი ვალდებულებიდან გამომდინარე შესაძლო დამატებით ზარალს. ზარალის ზუსტი ოდენობის განსაზღვრა ჩვენთვის შეუძლებელია, თუმცა არსებულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით, მიგვაჩნია, რომ კომპანიის მიერ აღიარებული ზარალი არსებითად და ყოვლისმომცველად ცვლის ფინანსური ანგარიშგების შესაბამის ელემენტებს და საჭიროებს კორექტირებას.

ჩვენ ვერ შევძელით საკმარისი და შესაფერისი მტკიცებულების მოპოვება სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის ხარჯები, იყო თუ არა გამოყენებული მიზნობრივად კომპანიის საქმიანობის მხარდასაჭერად. ვენახების მდგომარეობისა და მოსავლიანობის გათვალისწინებით, სხვა ალტერნატიული პროცედურითაც ვერ შევძელით საკმარისი და შესაფერისი მტკიცებულების მოპოვება აღნიშნული ხარჯების წარდგენის სისწორეზე, რაც 2024 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის შეადგენს 4,267,792 ლარს. შედეგად, ვერ განვსაზღვრეთ, საჭირო იყო თუ არა რაიმე კორექტირების შეტანა სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის ხარჯებთან და ფინანსური ანგარიშგების შემადგენელ სხვა ელემენტებთან დაკავშირებით.

როგორც ეს განმარტებულია ფინანსური ანგარიშგების მე-9 და მე-10 განმარტებით შენიშვნაში, 2024 და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არსებობდა ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის გაუფასურების ნიშნები. ხელმძღვანელობამ არ განახორციელა ტესტირება გაუფასურებაზე. სხვა ალტერნატიული პროცედურითაც ვერ შევძელით საკმარისი და შესაფერისი მტკიცებულების მოპოვება ზემოთ მოცემულ თარიღებში ძირითადი საშუალებების და ბიოლოგიური აქტივების საბალანსო ღირებულება აჭარბებს თუ არა მათ ანაზღაურებად ღირებულებას. ძირითადი საშუალებების და ბიოლოგიური აქტივების საბალანსო ღირებულება, რომელზეც ვერ შევძელით საკმარისი და შესაფერისი მტკიცებულების 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენს შესაბამისად 28,494,680 ლარს და 26,054,273 ლარს, ხოლო 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ძირითადი საშუალებების ქვეჯგუფის ნაგებობების საბალანსო ღირებულება 19,101,546 ლარს და ბიოლოგიური აქტივების საბალანსო ღირებულება 25,915,192 ლარს. შედეგად, ვერ განვსაზღვრეთ საჭირო იყო თუ არა რაიმე კორექტირების შეტანა ფინანსურ ანგარიშგებაში ძირითადი საშუალებების და ბიოლოგიური აქტივების საბალანსო ღირებულებასთან და ფინანსური ანგარიშგების სხვა ელემენტებთან დაკავშირებით.

კომპანიას არ ჩაუტარებია ძირითადი საშუალებების და ბიოლოგიური აქტივების ინვენტარიზაცია 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. სხვა ალტერნატიული პროცედურითაც ვერ შევძელით საკმარისი და შესაფერისი მტკიცებულების მოპოვება ზემოთ მოცემულ თარიღებში მიწის გარდა ძირითადი საშუალებების და ბიოლოგიური აქტივების არსებობისა და მდგომარეობის შესახებ. აღნიშნული აქტივების საბალანსო ღირებულება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენს ძირითადი საშუალებები გარდა მიწისა 22,481,651 ლარი და ბიოლოგიური აქტივები 26,054,273 ლარი. შედეგად, ვერ განვსაზღვრეთ, საჭირო იყო თუ არა რაიმე კორექტირების შეტანა ძირითად საშუალებებთან, ბიოლოგიური აქტივებთან და ფინანსური ანგარიშგების შემადგენელ სხვა ელემენტებთან დაკავშირებით.

აუდიტი წარვმართეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს-ების) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის - „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“ - ნაწილში. ჩვენ დამოუკიდებელი ვართ კომპანიისგან ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბესსს) პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსისა და იმ ეთიკური ნორმების შესაბამისად, რომლებიც ეხება ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტს საქართველოში; გარდა ამისა, შევასრულეთ ამ ნორმებით და ბესსს-ის ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი უარყოფითი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

სხვა ინფორმაცია

სხვა ინფორმაციაზე პასუხისმგებელია კომპანიის ხელმძღვანელობა. სხვა ინფორმაცია მოიცავს კომპანიის მმართველობის ანგარიშგებას. იმ მიზეზის გამო, რომლებიც აღწერილია უარყოფითი მოსაზრების საფუძვლის ნაწილში, ჩვენ მივიჩნევთ, რომ ფინანსური ანგარიშგება ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით არ არის მომზადებული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად. მმართველობის ანგარიშგებასთან მიმართებით, ჩვენი სამუშაო შემოიფარგლებოდა იმით, რომ განგვესაზღვრა შეიცავს თუ არა მმართველობის ანგარიშგება „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-6 პუნქტის მოთხოვნებს. ჩვენი აზრით, მხოლოდ ამ პროცედურებზე დაყრდნობით:

- 2024 წლის მმართველობის ანგარიშგება ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით თანხვედრაშია ამავე წლის ფინანსურ ანგარიშგებასთან და მოიცავს “ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ” საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-10 პუნქტით მოთხოვნილ ინფორმაციას.

აუდიტორის დასკვნაში, უარყოფითი მოსაზრების საფუძვლის ნაწილში აღწერილი საკითხების მნიშვნელობიდან გამომდინარე, ჩვენ არ შეგვიძლია გამოვთქვათ მოსაზრება იმასთან დაკავშირებით, შეიცავს თუ არა მმართველობის ანგარიშგება რაიმე არსებით უზუსტობას.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე ანგარიშგებაზე

კომპანიის ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, ასევე, შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია შეაფასოს და, საჭიროების შემთხვევაში, განმარტოს საქმიანობის უწყვეტობა და მასთან დაკავშირებული საკითხები. ასევე, ანგარიშგება მოამზადოს საქმიანობის უწყვეტობის დაშვების საფუძველზე, გარდა იმ შემთხვევისა, როცა განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია, ოპერაციების შეჩერება ან არ აქვს, ამის გარდა, სხვა არჩევანი.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირები პასუხისმგებელნი არიან კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესს გაუწიონ ზედამხედველობა.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მივიღოთ გონივრული რწმუნება, შეიცავს თუ არა მოცემული ფინანსური ანგარიშგება მთლიანობაში თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობებს და გავცეთ დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. გონივრული რწმუნება არის რწმუნების მაღალი დონე, მაგრამ ის არ წარმოადგენს გარანტიას იმისა, რომ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების საფუძველზე ჩატარებული აუდიტი ყოველთვის შეძლებს არსებითი უზუსტობების გამოვლენას.

უზუსტობები შესაძლოა წარმოიშვას თაღლითობის ან შეცდომის შედეგად და არსებითად განიხილება, თუ არსებობს გონივრული მოლოდინი იმისა, რომ ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს მომხმარებელთა ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც მიიღება წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების საფუძველზე.

აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) თანახმად, ჩვენ ვიყენებთ პროფესიულ მსჯელობას და ვინარჩუნებთ პროფესიულ სკეპტიციზმს. ჩვენ ასევე:

- ვადგენთ და ვაფასებთ ფინანსურ ანგარიშგებაში თაღლითობის ან შეცდომის შედეგად არსებითი უზუსტობების დაშვების რისკებს, ვგეგმავთ და ვასრულებთ აუდიტორულ პროცედურებს ამ რისკებზე რეაგირების მიზნით და მოვიპოვებთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოსატყმელად საჭირო საფუძვლის შესაქმნელად. თაღლითობის შედეგად წარმოშობილი არსებითი უზუსტობის ვერ აღმოჩენის რისკი უფრო მაღალია, ვიდრე შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობის, რადგან თაღლითობა შესაძლოა მოიცავდეს ფარულ გარიგებებს, გაყალბებებს, ინფორმაციის განზრახ გამოტოვებას, ინფორმაციის არასწორად წარმოდგენას ან შიდა კონტროლის უგულებელყოფას;
- შევისწავლით აუდიტისთვის მნიშვნელოვან შიდა კონტროლს, რათა დავეგეგმოთ მოცემული კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე;
- ვაფასებთ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკების მიზანშეწონილობას, ასევე ხელმძღვანელობის მხრიდან წარმოდგენილი სააღრიცხვო შეფასებებისა და განმარტებითი შენიშვნების გონივრულობას;
- გამოვაცხადებთ დასკვნა ხელმძღვანელობის მიერ ფუნქციონირებადი საწარმოს სააღრიცხვო საფუძვლის გამოყენების მიზანშეწონილობის შესახებ, ასევე მიღებული აუდიტორული მტკიცებულებების საფუძველზე ვასკვნით, აქვს თუ არა ადგილი არსებით გაურკვევლობებს ისეთ მოვლენებსა და ვითარებებთან მიმართებაში, რომლებმაც შესაძლოა ეჭვის ქვეშ დააყენოს კომპანიის უნარი განაგრძოს ფუნქციონირება საწარმოს უწყვეტი ფუნქციონირების პრინციპით. თუ ჩვენ დავასკვნით, რომ ადგილი აქვს არსებით გაურკვევლობას, აუდიტორის

დასკვნაში ყურადღებას გავამახვილებთ შესაბამის ინფორმაციაზე ფინანსურ ანგარიშგებაში ან, თუ ამგვარი ინფორმაცია არაა დეკლარირებული, შევცვლით ჩვენს დასკვნას. ჩვენი მსჯელობები ეფუძნება ჩვენი აუდიტორთა დასკვნის შედეგების თარიღამდე მიღებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. ამასთან, მომავალში წარმოშობილმა მოვლენებმა და შექმნილმა ვითარებებმა შესაძლოა აიძულოს კომპანია შეწყვიტოს ფუნქციონირება საწარმოს უწყვეტი ფუნქციონირების პრინციპით;

- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების ზოგად წარდგენას, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის განმარტებით შენიშვნებს და იმას, წარმოაჩენს თუ არა ფინანსური ანგარიშგება ძირითად გარიგებებსა და მოვლენებს ისეთი ფორმით, რომ უზრუნველყოფილ იქნას მთლიანი დოკუმენტის კეთილსინდისიერად წარდგენა.

სხვა საკითხებთან ერთად ჩვენ კომუნიკაცია გვაქვს მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებთან აუდიტის მასშტაბზე, ვადებზე და აუდიტის შედეგად აღმოჩენილი მნიშვნელოვანი საკითხების შესახებ, მათ შორის, შიდა კონტროლის ნაკლოვანებების შესახებ.

გარიგების პარტნიორი, რომელიც პასუხისმგებელია აუდიტზე, რომლის შედეგებიც ასახულია დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნაში, არის:



ივანე ჟუჟუნაშვილი (რეესტრში რეგისტრაციის ნომერი SARAS-A-720718)

შპს „ბიდიო აუდიტის“ სახელით

თბილისი, საქართველო

24 ოქტომბერი 2025

შპს „გურჯაანი აგრო“

მოგება ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ლარში)

	შენიშვნა	2024	2023
ამონაგები	6	1,835,529	950,590
გაყიდული პროდუქციის თვითღირებულება		(1,760,929)	(905,202)
საერთო მოგება		74,600	45,388
სოფლის მეურნეობის პროდუქტის საწყისი აღიარება	7	1,760,929	905,203
სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის ხარჯები	7	(4,267,792)	(5,574,780)
ზარალი სასოფლო-სამეურნეო საქმიანობიდან		(2,506,863)	(4,669,577)
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	8	(560,914)	(561,056)
წმინდა სხვა შემოსავალი		-	331,082
საოპერაციო ზარალი		(2,993,177)	(4,854,163)
ფინანსური ხარჯი		(4,558,678)	(4,931,873)
ზარალი საკუროსო სხვაობიდან		(2,365,237)	(398,913)
წმინდა ზარალი		(9,917,092)	(10,184,949)
სხვა სრული შემოსავალი		-	-
სრული ზარალი		(9,917,092)	(10,184,949)

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2025 წლის 24 ოქტომბერს შემდეგი პირის მიერ:

გენერალური დირექტორი

ალექსანდრე ჩხაიძე

შპს „გურჯაანი აგრო“

მოგება ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება


2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის.

(ლარში)

	შენიშვნა	2024	2023
ამონაგები	6	1,835,529	950,590
გაყიდული პროდუქციის თვითღირებულება		(1,760,929)	(905,202)
საერთო მოგება		74,600	45,388
სოფლის მეურნეობის პროდუქტის საწყისი აღიარება	7	1,760,929	905,203
სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის ხარჯები	7	(4,267,792)	(5,574,780)
ზარალი სასოფლო-სამეურნეო საქმიანობიდან		(2,506,863)	(4,669,577)
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	8	(560,914)	(561,056)
წმინდა სხვა შემოსავალი		-	331,082
საოპერაციო ზარალი		(2,993,177)	(4,854,163)
ფინანსური ხარჯი		(4,558,678)	(4,931,873)
ზარალი საკუროს სხვაობიდან		(2,365,237)	(398,913)
წმინდა ზარალი		(9,917,092)	(10,184,949)
სხვა სრული შემოსავალი		-	-
სრული ზარალი		(9,917,092)	(10,184,949)

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2025 წლის 24 ოქტომბერს შემდეგი პირის მიერ:

გენერალური დირექტორი



ალექსანდრე ჩხაიძე



შპს „გურჯაანი აგრო“

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(ლარში)

	შენიშვნა	2024	2023
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	9	28,494,680	29,859,294
ბიოლოგიური აქტივები	10	26,054,273	25,915,192
არამატერიალური აქტივები		6,468	7,277
		54,555,421	55,781,763
მოკლევადიანი აქტივები			
მარაგები	11	362,399	528,923
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	12	1,545,339	288,562
ფული და ფულის ეკვივალენტები		2,676	15,335
		1,910,414	832,820
სულ აქტივები		56,465,835	56,614,583
კაპიტალი და ვალდებულებები			
კაპიტალი			
კაპიტალი		19,490,822	11,441,925
დაგროვილი ზარალი		(21,813,962)	(11,562,476)
		(2,323,140)	(120,551)
მოკლევადიანი ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	13	3,452,191	3,323,037
სესხები	14	55,336,784	53,412,097
		58,788,975	56,735,134
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		56,465,835	56,614,583

შპს „გურჯაანი აგრო“

კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ლარში)

	შენიშვნა	კაპიტალი	დაგროვილი ზარალი	სულ
2022 წლის 31 დეკემბერი		26,553,234	(1,829,989)	24,723,245
სრული ზარალი		-	(10,184,949)	(10,184,949)
ოპერაცია მფლობელის გადაწყვეტილებით	15	-	452,462	452,462
კაპიტალის შევსება		5,818,115	-	5,818,115
კაპიტალიდან გატანა		(20,929,424)	-	(20,929,424)
2023 წლის 31 დეკემბერი		11,441,925	(11,562,476)	(120,551)
სრული ზარალი		-	(9,917,092)	(9,917,092)
ოპერაცია მფლობელის გადაწყვეტილებით	15	-	(334,394)	(334,394)
კაპიტალის შევსება		8,288,874	-	8,288,874
კაპიტალიდან გატანა		(239,977)	-	(239,977)
2024 წლის 31 დეკემბერი		19,490,822	(21,813,962)	(2,323,140)

შპს „გურჯაანი აგრო“

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ლარში)

	შენიშვნა	2024	2023
ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან			
ზარალი დაბეგვრამდე		(9,917,092)	(10,184,949)
კორექტირებები:			
ზარალი გრძელვადიანი აქტივების გასვლიდან	8	41,248	6,993
ფინანსური ხარჯი		4,558,678	4,931,873
სავაჭრო და სხვა მოთხოვნების გაუფასურების ხარჯი	12	-	137,039
ცვეთა და ამორტიზაცია	9	1,645,364	1,757,520
სოფლის მეურნეობის პროდუქტის საწყისი აღიარება	7	(1,760,929)	(905,203)
ზარალი საკურსო სხვაობიდან		2,365,237	398,913
		(3,067,494)	(3,857,814)
ცვლილება სამუშაო კაპიტალში			
მარაგების შემცირება		1,927,453	1,175,336
სავაჭრო და სხვა მოთხოვნების ზრდა		(1,529,171)	(290,873)
სავაჭრო და სხვა ვალდებულებების ზრდა		53,051	1,471,292
ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან		(2,616,161)	(1,502,059)
გადახდილი პროცენტი		(4,977,945)	(3,425,623)
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან		(7,594,106)	(4,927,682)
ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან			
ძირითადი საშუალებების შემენისთვის გასული თანხები		(310,217)	(421,389)
ბიოლოგიური აქტივების შემენისთვის გასული თანხები		(167,264)	(277,955)
ძირითადი საშუალებების გასვლიდან მიღებული თანხები		59,336	-
		(418,145)	(699,344)
ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან			
სესხების აღება	14	(289,115)	-
ფულადი ნაკადები უკუშესყიდვის შეთანხმებიდან	14	239,810	25,555,199
სესხების დაფარვა	14	-	(5,255,165)
კაპიტალის შევსება		8,288,874	6,270,577
კაპიტალის გატანა		(239,977)	(20,929,424)
		7,999,592	5,641,187
წმინდა (კლება)/ზრდა ფულსა და ფულის ეკვივალენტებში		(12,659)	14,161
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში		15,335	1,174
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს		2,676	15,335

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს „გურჯაანი აგრო“ (შემდგომში კომპანია) წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას, რომელიც დაარსდა 2010 წელს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანიის იურიდიული მისამართია, თბილისი, საბურთალოს რაიონი, სულხან ცინცაძის ქ. 12. კომპანიის 100 % მფლობელი და საბოლოო მშობელი საწარმო არის შპს „კახური ტრადიციული მეღვინეობა“, ხოლო საბოლოო ბენეფიციარი მფლობელი ბატონი ზურაბ ჩხაიძე (100% წილის მფლობელი).

კომპანიის ძირითადი საქმიანობა არის ვენახების გაშენება და ყურძნის მოსავლის მოყვანა, რომლის რეალიზაციაც სრულად ხდება მშობელ საწარმოზე. კომპანიამ აქტიურად დაიწყო ვენახების გაშენება 2019 წელს.

2. მომზადების საფუძველი

ანგარიშგების შესაბამისობა

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების კომიტეტის (ბასსკ) მიერ გამოშვებული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების, ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების და ინტერპრეტაციების (მთლიანად ფასს-ების) შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესში კომპანია იყენებს გარკვეულ მნიშვნელოვან სააღრიცხვო შეფასებებს, როგორც ამას მოითხოვს ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტები. ფინანსური ანგარიშგების არეები, რომლისთვისაც ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესში კომპანია იყენებს მნიშვნელოვან დაშვებებსა და შეფასებებს მოცემულია მე-4 შენიშვნაში.

შეფასების საფუძველი

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე. კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე.

ფუნქციონირებადი საწარმო

კომპანიის ფინანსური ანგარიშგება არ არის მომზადებული ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის საფუძველზე. კომპანიის ფინანსური მდგომარეობის, ოპერაციული აქტივებისა და რესურსების საფუძველიანი ანალიზის შედეგად დადგინდა, რომ ფინანსური ანგარიშგების მომზადების დროს ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის გამოყენება არ არის მიზანშეწონილი და არ ასახავს კომპანიის რეალურ ეკონომიკურ და საოპერაციო გარემოს. ხელმძღვანელობის შეფასებით ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის გამოყენება აღარ შეესაბამება კომპანიის არსებულ რეალობას, თუმცა შესაბამისი ალტერნატიული სააღრიცხვო ჩარჩოს ან საჭირო კორექტირებების გამოყენება არ განხორციელდა. ქვემოთ მოცემული ძირითადი გარემოებები, რომლებიც განაპირობებს ხელმძღვანელობის შეფასებას:

- საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ (შენიშვნა 17) კომპანიის გრძელვადიან აქტივებზე (ვენახები, მიწები და მათთან დაკავშირებული ინფრასტრუქტურა) კონტროლი, უკუშესყიდვის უფლების ვადის ამოწურვის შედეგად, გადაეცა ფინანსურ ინსტიტუტს.
- არ არსებობს მოქმედი იჯარის ხელშეკრულებები ვენახებზე, რაც მნიშვნელოვნად ართულებს ოპერაციების შემდგომ განვითარებას. *
- კომპანიას არ გააჩნია სანდო და გრძელვადიანი შემოსავლის წყაროები და ფინანსური მხარდაჭერა, როგორც მშობელი კომპანიისგან, ისე სხვა მხარისგან.
- არსებული ვალდებულებები და სამართლებრივი დავები მნიშვნელოვნად ადგამტება კომპანიის ფინანსურ რესურსებს. *
- კომპანიის დარჩენილი გრძელვადიანი აქტივები (სოფლის მეურნეობის ტექნიკა), დაგირავებულია მშობელი საწარმოს სასარგებლოდ ფინანსური ინსტიტუტიდან მიღებული სესხების სანაცვლოდ.

დამატებითი ანალიზის შედეგად დადასტურდა, რომ არ არსებობს რეალისტური, ეკონომიკურად და სამართლებრივად გამართლებული გზები, რომლებიც საშუალებას მისცემდა კომპანიას, რომ საქმიანობა გაგრძელოს, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ. ყველა გონივრული ალტერნატიული საოპერაციო მოდელი, მათ შორის: აქტივების გაყიდვა, რეორგანიზაცია, პროფილის შეცვლა, ან კომპანიის გაერთიანება სხვა საწარმოსთან განიხილება დაბალი ალბათობის მქონე სცენარად და არ იძლევა კომპანიის ფინანსური მდგომარეობის არსებითი გაუმჯობესების შესაძლებლობას.

ხელმძღვანელობის მიერ ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას გამოიყენება წინა წლის სააღრიცხვო პოლიტიკა, რომელიც ეფუძნება ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპს. არ განხორციელდა ალტერნატიული სააღრიცხვო მეთოდოლოგიის დანერგვა, როგორიცაა სალიკვიდაციო ღირებულებების გამოყენება.

2. მომზადების საფუძველი (გაგრძელება)

ახალი სტანდარტები, ინტერპრეტაციები და შესწორებები:

ა) 2024 წლის 1 იანვრის შემდეგ ძალაში შესული სტანდარტები და შესწორებები:

მიწოდების ფინანსური შეთანხმებები (შესწორება ბასს 7-ში და ფასს 7-ში). IASB-იმ შეიმუშავა ვიწრო მასშტაბის სტანდარტის კორექტირება, რამაც გამოიწვია შესწორება. შესწორებები მოითხოვს, საწარმოებმა მოამზადონ გარკვეული სპეციფიკური განმარტებები (ხარისხობრივი და რაოდენობრივი), რომელიც შეეხება მიწოდების ფინანსურ შეთანხმებებს. შესწორებები ასევე იძლევა მითითებებს მიწოდების ფინანსური შეთანხმებების მახასიათებლებზე.

საიჯარო ვალდებულება უკუიჯარის პირობით გაყიდვისას (ფასს 16-ის შესწორება). შესწორების თანახმად, გამყიდველ-მოიჯარეს მოეთხოვება იმგვარად განსაზღვროს „საიჯარო გადახდები“ ან „გადასინჯული საიჯარო გადახდები“, რომ არ აღიაროს გამყიდველ-მოიჯარის მიერ შენარჩუნებულ გამოყენების უფლებასთან დაკავშირებული ნებისმიერი ოდენობის მოგება ან ზარალი.

ვალდებულების კლასიფიკაცია მოკლევადიანად ან გრძელვადიანად (ბასს 1-ში შესწორება) შესწორების თანახმად, საწარმოს მოეთხოვება გააჩნდეს ვალდებულების დაფარვის გადავადების არსებითი უფლება საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ სულ მცირე თორმეტი თვით და აღნიშნული უფლება უნდა არსებობდეს საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. ვალდებულების კლასიფიკაციაზე გავლენას არ ახდენს ალბათობა იმისა, რომ საწარმო გამოიყენებს უფლებას საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ მინიმუმ 12 თვით გადავადებასთან დაკავშირებით.

კოვენანტებიანი გრძელვადიანი ვალდებულებები (ბასს 1-ში შესწორება) შესწორების თანახმად, თუ საწარმოს გადავადების უფლება წარმოადგენს კონკრეტული პირობების დაკმაყოფილების საგანს, ასეთი პირობები გავლენას ახდენს მაშინ, როცა უფლება არსებობს საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, საწარმომ შეასრულოს პირობები საანგარიშგებო პერიოდის დასრულებამდე ან დასრულებისას და არა მაშინ, როცა საწარმო ვალდებულია დააკმაყოფილოს პირობები საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ. აღნიშნული შესწორება, ასევე, განმარტავს „დაფარვის“ მნიშვნელობას, ვალდებულების მოკლევადიანად ან გრძელვადიანად კლასიფიკაციის მიზნით.

კომპანიის შეფასებით ცვლილებებს არ აქვს გავლენა ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ბ) სტანდარტები, ინტერპრეტაციები და შესწორებები, რომლებიც ჯერ არ შესულა ძალაში

სტანდარტები და შესწორებები, რომლებიც ძალაში შედის 2025 წლის 1 იანვრიდან

გასაცვლელი სავალუტო კურსის არ არსებობა (შესწორება ბასს 21-ში) შესწორება წარმოადგენს მოთხოვნას, შეფასდეს როდის იცვლება ვალუტა სხვა ვალუტაში და როდის არა. შესწორება საწარმოს სთხოვს განსაზღვროს სპოტ სავალუტო კური, როდესაც საწარმო დაასკვნის რომ ვალუტა სხვა ვალუტაში არ იცვლება.

სტანდარტები და შესწორებები, რომლებიც ძალაში შედის 2026 წლის 1 იანვრიდან

ცვლილებები ფინანსური ინსტრუმენტების კლასიფიკაციასა და შეფასებაში (შესწორებები ფასს 9-სა და ფასს 7-ში). ცვლილებები შეეხება შემდეგ მოთხოვნებს ფასს 9-სა და ფასს 7-ში:

ფინანსური ვალდებულებების აღიარების შეწყვეტა

- ელექტრონული გადარიცხვით ანგარიშსწორებული ფინანსური ვალდებულების აღიარების შეწყვეტა;

ფინანსური აქტივის კლასიფიკაცია

- ძირითადი საკრედიტო შეთანხმების მნიშვნელოვანი ელემენტები (მხოლოდ ძირის დაფარვა და პროცენტის შეფასება – ‘SPPI ტესტი’);
- სახელშეკრულებო პირობები, რომლებიც ცვლიან ფულადი ნაკადების ვადებს ან სიდიდეს;
- ფინანსური აქტივი რეგრესის უფლების გარეშე;
- ინვესტიციები ხელშეკრულებით დაკავშირებულ ინსტრუმენტებში.

ახსნა განმარტებითი შენიშვნები

- ინვესტიციები კაპიტალის ინსტრუმენტებში, რომლებიც შეფასებულია რეალური ღირებულებით სხვა მთლიანი შემოსავლის ასახვით;
- სახელშეკრულებო პირობები, რომლებმაც შეიძლება შეცვალონ ფულადი ნაკადების სახელშეკრულებო ვადა ან მოცულობა.

2. მომზადების საფუძველი (გაგრძელება)

ფასს სტანდარტების წლიური გაუმჯობესება. წლიური გაუმჯობესება შემოიფარგლება ცვლილებებით, რომლებიც აზუსტებს ფასს სტანდარტების ფორმულირებას ან ასწორებს სტანდარტის მიერ გამოწვეულ მცირე არასასურველ შედეგებს. მცირე დაზუსტებები და გაუმჯობესება შეეხება შემდეგ სტანდარტებს: IFRS 1, IFRS 7, IFRS 9, IFRS 10 და IAS 7 (მაგალითად, ჰეჯირების აღრიცხვა, საიჯარო ვალდებულებების აღიარების შეწყვეტა).

ხელშეკრულებები, რომლებიც ეხება ბუნებაზე დამოკიდებულ ელექტროენერგიას (აღრე ელექტროენერგიის შესყიდვის ხელშეკრულებები) (ფასს 9-სა და ფასს 7-ში ცვლილებები). ცვლილებები მოიცავს:

- „საკუთარი მოხმარების“ მოთხოვნების გამოყენების დაზუსტება;
- ჰეჯირების აღრიცხვის ნებართვა, თუ ეს ხელშეკრულებები გამოიყენება ჰეჯირების ინსტრუმენტებად; და
- ახალი ახსნა-განმარტებითი შენიშვნების მოთხოვნების დამატება, რათა ინვესტორებს შეეძლოთ გააცნობიერონ ამ ხელშეკრულებების გავლენა კომპანიის ფინანსურ მაჩვენებელზე და ფულად ნაკადებზე.

სტანდარტები და შესწორებები, რომლებიც ძალაში შედის 2027 წლის 1 იანვრიდან

ფასს 18 წარდგენა და ახსნა-განმარტებითი შენიშვნები ფინანსურ ანგარიშგებაში. ფასს 18, რომელიც გამოქვეყნდა ბასს-ის მიერ 2024 წლის 9 აპრილს, ასახავს მნიშვნელოვან ახალ მოთხოვნებს თუ როგორ არის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება, განსაკუთრებული აქცენტით შემდეგ საკითხებზე:

- მოგება-ზარალის ანგარიშგება, მათ შორის მოთხოვნები სავალდებულო შუალედური ჯამების წარდგენის შესახებ.
- ინფორმაციის დაჯგუფება და ჩაშლა, მათ შორის ზოგადი პრინციპების დანერგვა, თუ როგორ უნდა მოხდეს ინფორმაციის დაჯგუფება და ჩაშლა ფინანსურ ანგარიშგებებში.
- ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრულ შესრულების ზომებთან (MPMs) დაკავშირებული ინფორმაციის გამჟღავნება, რომელიც წარმოადგენს ფინანსური ეფექტურობის საზომებს, რომელიც ეფუძნება ფასს სტანდარტების მიერ მოთხოვნილ ჯამს ან შუალედურ ჯამს.

ფასს 19 შვილობილი კომპანიები საჯარო ანგარიშვალდებულების გარეშე: ახსნა-განმარტებითი შენიშვნები. 2024 წლის 9 მაისს, ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭომ (IASB) გამოსცა IFRS 19 რომელიც შესაბამის შვილობილ კომპანიებს საშუალებას აძლევს გამოიყენონ შემცირებული გამჟღავნების მოთხოვნები ფასს სტანდარტების აღიარების, შეფასებისა და წარდგენის მოთხოვნების გამოყენებისას. საწარმოს მიერ ფასს 19-ის გამოყენების დასაშვები კრიტერიუმებია:

- საწარმო არის შვილობილი კომპანია;
- საწარმოს არ გააჩნია საჯარო ანგარიშვალდებულება; და
- საწარმოს ჰყავს საბოლოო ან შუალედური მშობელი, რომელიც აწარმოებს კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებას, რომელიც ხელმისაწვდომია საჯარო გამოყენებისთვის, რომელიც შეესაბამება სრულ ფასს სტანდარტებს.

კომპანიას არ გააჩნია მოლოდინი, რომ ბასსკ-ის მიერ გამოშვებულ სტანდარტს/ცვლილებებს, რომელიც ჯერ არ არის ძალაში შესული, ექნება არსებითი გავლენა მის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

3. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას გამოყენებული მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა მოცემულია ქვემოთ. აღნიშნული პოლიტიკა თანმიმდევრულადაა გამოყენებული ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილ ყველა ინფორმაციაზე, თუ ეს სხვაგვარად არაა აღნიშნული.

3.1 ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

ოპერაციებში კომპანია ფუნქციონალურ ვალუტად იყენებს ქართულ ლარს, რომელსაც მნიშვნელოვანი გავლენა აქვს კომპანიის ოპერაციებზე. ამგვარად, მოცემული ფინანსური ანგარიშგებისათვის შეფასების ვალუტად კომპანია იყენებს ქართულ ლარს.

უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები საწყისად აღიარდება ოპერაციის დღის კურსის შესაბამისად. უცხოურ ვალუტაში ასახული აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ვალუტის გაცვლის ოფიციალური კურსის შესაბამისად, წლის ბოლოსათვის. კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორის სხვაობები აისახება მოგების ან ზარალის ანგარიშებაში. წლის ბოლოს კონვერტაცია არ ეხება არაფულად აქტივებს. არაფულადი აქტივები, რომლებიც შეფასებულია უცხოური ვალუტით პირვანდელი ღირებულების მეთოდით გადაიანგარიშება ოპერაციის შესრულების თარიღისათვის არსებული სავალუტო კურსით. 31 დეკემბერს უცხოურ ვალუტაში არსებული ნაშთების კონვერტაციისთვის გამოყენებულია საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსები.

3.2 ამონაგები მომხმარებელთან გაფორმებული კონტრაქტებიდან

კომპანია აღიარებს ამონაგებს დაპირებული საქონლისა და მომსახურების მომხმარებლებისთვის გადაცემისას, იმ ანაზღაურების ოდენობით, რომლის მიღების უფლებასაც კომპანია მოელის ამ საქონლისა და მომსახურების გადაცემის სანაცვლოდ. კომპანია იყენებს ხუთ საფეხურიან მოდელს მომხმარებელთან გაფორმებული ყველა ხელშეკრულების მიმართ: მომხმარებელთან ხელშეკრულების იდენტიფიცირება; სახელშეკრულებო ვალდებულებების დადგენა; გარიგების ფასის განსაზღვრა; გარიგების ფასის მიკუთვნება სახელშეკრულებო ვალდებულებასთან; და ამონაგების აღიარება, როდესაც პირი სახელშეკრულებო ვალდებულებას შესრულებს.

კომპანია ამონაგებს აღიარებს სახელშეკრულებო ვალდებულების შესრულებისას, ანუ მაშინ, როდესაც შესაბამის ვალდებულებასთან დაკავშირებულ საქონელზე/მომსახურებაზე “კონტროლი” მომხმარებელს გადაეცემა. კომპანიის ამონაგების ძირითად ნაწილს წარმოადგენს მომხმარებლისათვის ყურძნის რეალიზაციას. ამონაგები ყურძნის რეალიზაციიდან აღიარდება დროის კონკრეტულ მომენტში.

კომპანიის ამონაგების ძირითადი საკონტრაქტო ღირებულება არის ფიქსირებული და მისაღები ამონაგების განსაზღვრა ხდება მოცემული ფიქსირებული ფასების მიხედვით. კომპანია მთლიან საკონტრაქტო ფასს თითოეულ შესასრულებელ მოვალეობაზე ანაწილებს მათი ინდივიდუალური გასაყიდი ფასის მიხედვით.

კომპანიამ გამოიყენა შემდეგი გათავისუფლება: არ განიხილავს დაფინანსების მნიშვნელოვან კომპონენტს, როდესაც აქტივზე მომხმარებლისთვის კონტროლის გადაცემის თარიღსა და მიღებული ანაზღაურების თარიღებს შორის სხვაობა არის ერთ წელზე ნაკლები; და ხელშეკრულების გაფორმების დამატებითი დანახარჯები ხარჯებში აღიარდება მათი გაწევისას, თუ აქტივის ამორტიზაციის პერიოდის ხანგრძლივობა ერთ წელს არ აღემატება.

3.3 იჯარა

კომპანიამ გადაწყვიტა მოკლევადიან იჯარასთან და დაბალი ღირებულების მქონე საიჯარო აქტივის იჯარასთან მიმართებაში გამოიყენოს გათავისუფლება. ამ იჯარასთან დაკავშირებული საიჯარო გადახდები აღირიცხება ხარჯის სახით იჯარის ვადის განმავლობაში, წრფივი მეთოდით. კომპანიას არ აქვს გრძელვადიანი იჯარები.

3.4 გადასახადები

მოგების გადასახადის ხარჯი აღიარდება იმ საანგარიშგებო პერიოდში, როდესაც კომპანია გამოაცხადებს დივიდენდს. საქართველოს საგადასახადო სისტემის სპეციფიკურობის გათვალისწინებით, საქართველოში რეგისტრირებული კომპანიებისთვის აქტივების და ვალდებულებების საბალანსო და საგადასახადო ღირებულებებს შორის არ არსებობს სხვაობები, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს გადავადებული საგადასახადო აქტივების ან ვალდებულებების აღიარება.

გადასახადები გარდა მოგების გადასახადისა აღიარდება იმ საანგარიშგებო პერიოდში, რა პერიოდშიც წარმოიქმნება მავალდებულებელი მოვლენა. მავალდებულებელ მოვლენას წარმოადგენს ქმედება ან ფაქტი, რომელიც საქართველოს საგადასახადო კოდექსით განაპირობებს გადასახადის გადახდას. წინასწარ გადახდილი გადასახადები, რომლიდანაც მოსალოდნელია მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აღიარდება აქტივად.

3. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

3.5 ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალების ერთეულის საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით. თვითღირებულებების კომპონენტები მოიცავს შეძენის ფასსა და უშუალოდ დაკავშირებულ დანახარჯებს, რომელიც აუცილებელია აქტივის სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად. შემდგომი დანახარჯები ჩაირთვება აქტივის საბალანსო ღირებულებაში ან აღიარდება, როგორც დამოუკიდებელი აქტივი, მხოლოდ მაშინ, როდესაც შესაძლებელია აღნიშნული ტიპის დანახარჯისაგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება და შესაძლებელია მისი ღირებულების საიმედოდ განსაზღვრა. შეცვლილი კომპონენტის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება. ყველა სახის სხვა დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია მიმდინარე ტიპის რემონტებთან, აღიარდება როგორც ხარჯი მისი გაწვევის პერიოდში.

ძირითადი საშუალებები აღირიცხება ისტორიულ ღირებულებას, დაგროვილ ცვეთასა და გაუფასურების ზარალს შორის სხვაობის თანხით. ცვეთა ერიცხება აღნიშნულ აქტივთა ჯგუფს, მთლიანად მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. კომპანია იყენებს ცვეთის წრფივი დარიცხვის მეთოდს ძირითადი საშუალებების ყველა ჯგუფისათვის. სასარგებლო მომსახურების პერიოდი და ცვეთის მეთოდი მიმოიხილება ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, ღირებულების ცვლილების ეფექტის გათვალისწინებით, პერსპექტიულ საფუძველზე. იმ შემთხვევაში, თუ ძირითადი საშუალებების თითოეულ კომპონენტს გააჩნია განსხვავებული ექსპლუატაციის პირობები, მაშინ ამდაგვარი აქტივთა ჯგუფი აღირიცხება ინდივიდუალურად. ძირითადი საშუალებების ჯგუფების სასარგებლო მომსახურების ვადები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

ძირითადი საშუალებების ჯგუფი

სასარგებლო მომსახურების ვადა

შენობა-ნაგებობები

15-50

ოფისის დანადგარები, აღჭურვილობა და ავეჯი

5

დანადგარები

5-25

ავტოტრანსპორტი

7-10

მიწა

არ ერიცხება ცვეთა

შენებარე აქტივები

არ ერიცხება ცვეთა

ძირითადი საშუალების ობიექტის აღიარება წყდება მისი გასხვისებისას ან მაშინ, როდესაც მისი შემდგომი გამოყენებიდან მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარაა მოსალოდნელი. მოგება ან ზარალი ძირითადი საშუალებების გასვლის შედეგად განისაზღვრება საბალანსო ღირებულებისა და მიღებული წმინდა ანაზღაურების სხვაობით.

3.6 მატერიალური და არამატერიალური აქტივების გაუფასურება

ანგარიშგების ყოველი პერიოდის ბოლოს კომპანია გადახედავს მატერიალური და არამატერიალური აქტივების საბალანსო ღირებულებებს, რომ განსაზღვროს, არსებობს თუ არა ამ აქტივების გაუფასურების ნიშნები. ასეთი ნიშნების არსებობის შემთხვევაში, ფასდება ამ აქტივის ანაზღაურებადი ღირებულება იმისათვის, რომ განისაზღვროს გაუფასურების ზარალის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) მასშტაბი. თუ შეუძლებელია ცალკეული აქტივის ანაზღაურებადი ღირებულების განსაზღვრა, კომპანია აფასებს იმ ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის ანაზღაურებად ღირებულებას, რომელსაც ეს აქტივი მიეკუთვნება. თუ არსებობს განაწილების გონივრული და თანმიმდევრული საფუძველი, კორპორაციული აქტივები ასევე ნაწილდება ფულადი სახსრების წარმომქმნელ ცალკეულ ერთეულებზე, ან სხვა შემთხვევაში, ისინი ნაწილდება ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულების უმცირეს ჯგუფზე, რომლისთვისაც შეიძლება განისაზღვროს განაწილების გონივრული და თანმიმდევრული საფუძველი.

ანაზღაურებადი ღირებულება არის გაყიდვის დანახარჯებით შემცირებულ რეალურ ღირებულებასა და გამოყენების ღირებულებას შორის უდიდესი. გამოყენების ღირებულების შესაფასებლად საგარაუდო მომავალი ფულადი ნაკადების დღევანდელ ღირებულებამდე დისკონტირება ხდება დასაბეგრი დისკონტირების განაკვეთის გამოყენებით, რომელიც ასახავს ფულის დროითი ღირებულების არსებულ საბაზრო შეფასებებს და აქტივისთვის დამახასიათებელ რისკებს, რომლისთვისაც არ დაკორექტირებულა სამომავლოდ პროგნოზირებული ფულადი ნაკადები.

თუ აქტივის (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) ანაზღაურებადი ღირებულება შეფასებულია, როგორც მის საბალანსო ღირებულებაზე ნაკლები, მაშინ აქტივის (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) საბალანსო ღირებულება მცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე. გაუფასურების ზარალის აღიარება ხდება დაუყოვნებლივ მოგებაში ან ზარალში.

თუ გაუფასურების ზარალი შემდგომში შებრუნდება, აქტივის (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) საბალანსო ღირებულება გაიზრდება და შეადგენს მისი ანაზღაურებადი ღირებულების გადასინჯულ ოდენობას,

3. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

მაგრამ ისე, რომ გაზრდილი საბალანსო ღირებულება არ აღემატებოდეს იმ საბალანსო ღირებულებას, რომელიც განისაზღვრებოდა, წინა წლებში აქტივზე (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელ ერთეულზე) გაუფასურების ზარალი რომ არ ყოფილიყო აღიარებული. გაუფასურების ზარალის შებრუნების აღიარება ხდება დაუყოვნებლივ მოგებაში ან ზარალში.

3.7 მარაგები

მარაგები გარდა სოფლის მეურნეობის პროდუქტისა

მარაგების საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით და შემდგომ თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. თვითღირებულება მოიცავს შეძენის, გადამუშავების და სხვა ხარჯებს, რომლებიც დაკავშირებულია მარაგების ტრანსპორტირებასა და დასაწყობებასთან. მარაგების თვითღირებულება მცირდება მიღებული ფასდაკლებით.

მარაგების გაყიდვის შემთხვევაში მისი საბალანსო ღირებულების აღიარება ხდება იმ პერიოდის ხარჯად, როდესაც აღიარდება მისი შესაბამისი ამონაგები. მარაგების თვითღირებულება გამოითვლება საშუალო შეწონილი მეთოდით. მარაგების ნეტო სარეალიზაციო ღირებულებამდე ჩამოწერის თანხებიც აღიარდება იმ პერიოდის ხარჯად, როდესაც ხდება ჩამოწერა ან ადგილი აქვს დანაკარგებს.

სოფლის მეურნეობის პროდუქტი

ბიოლოგიური აქტივებიდან მიღებული სოფლის მეურნეობის პროდუქტი თავდაპირველი აღიარებისას ფასდება ნაყოფის მიღების მომენტში გაყიდვისათვის საჭირო შეფასებული დანახარჯებით შემცირებული რეალური ღირებულებით და აღირიცხება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში. სოფლის მეურნეობის პროდუქტის საწყისი აღიარებისას მიღებული შემოსავალი აღიარდება მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში. სოფლის მეურნეობის პროდუქტის მიღებასთან დაკავშირებით გაწეული ხარჯები ჩამოიწერება პერიოდის ხარჯად.

3.8 ბიოლოგიური აქტივები

მრავალწლიანი ნარგავების აღრიცხვისათვის კომპანია იყენებს თვითღირებულების მოდელს. თვითღირებულების კომპონენტები მოიცავს შეძენის ფასსა და უშუალოდ დაკავშირებულ დანახარჯებს, რომელიც გაიწია მრავალწლიანი ნარგავების იმ მდგომარეობაში და კონდიციაში მოსაყვანად, რაც აუცილებელი იყო ხელმძღვანელობის მიერ დასახული მიზნების შესასრულებლად.

მრავალწლიანი ნარგავები აღირიცხება ისტორიულ ღირებულებას, დაგროვილ ცვეთასა და გაუფასურების ზარალს შორის სხვაობის თანხით. ცვეთა ერიცხება აღნიშნულ აქტივთა ჯგუფს, მთლიანად მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. მრავალწლიანი ნარგავების კომპანია იყენებს ცვეთის წრფივი დარიცხვის მეთოდს. ცვეთის დარიცხვა იწყება მაშინ, როდესაც აქტივი არის იმ კონდიციაში რაც აუცილებელია ხელმძღვანელობის მიერ დასახული მიზნების შესასრულებლად. მრავალწლიანი ნარგავების სასარგებლო მომსახურების ვადა შეადგენს 50 წელს.

3.9 სესხით სარგებლობის დანახარჯები

განსაკუთრებული აქტივის შეძენასთან, წარმოებასთან ან მშენებლობასთან უშუალოდ დაკავშირებული ნასესხები სახსრების დანახარჯები აღირიცხება აღნიშნული აქტივის თვითღირებულებაში. ამგვარი ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებული დანახარჯები კაპიტალიზდება როგორც აქტივის თვითღირებულების ნაწილი, როდესაც მოსალოდნელია, რომ ეს დანახარჯები საწარმოს მომავალში მოუტანს ეკონომიკურ სარგებელს და შესაძლებელია მათი საიმედოდ შეფასება.

განსაკუთრებული აქტივის შეძენასთან, წარმოებასთან ან მშენებლობასთან უშუალოდ დაკავშირებულ დანახარჯებს მიეკუთვნება ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებული ის დანახარჯები, რომელთა თავიდან აცილება შესაძლებელი იქნებოდა, აუცილებელი რომ არ ყოფილიყო განსაკუთრებულ აქტივთან დაკავშირებული დანახარჯების გაწევა. ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებული სხვა დანახარჯები აღიარდება იმ პერიოდის ხარჯად, როდესაც იქნა გაწეული. ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებულ დანახარჯებში შედის: საპროცენტო ხარჯი, რომელიც გამოითვლება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით, და უცხოურ ვალუტაში აღებულ სესხებთან დაკავშირებით წარმოშობილი საკურსო სხვაობის თანხა, თუ იგი განიხილება როგორც საპროცენტო დანახარჯების კორექტირება.

კაპიტალიზაციისთვის შესაბამისი უცხოურ ვალუტაში აღებულ სესხთან დაკავშირებით წარმოშობილი საკურსო სხვაობის თანხა განისაზღვრება კუმულაციის საფუძველზე, რომელიც ეყრდნობა ჯამური საპროცენტო ხარჯის მოცულობას, რომელიც წარმოიშობოდა კომპანიას რომ აეღო სესხი სამუშაო ვალუტაში (ქართულ ლარში).

3. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

კუმულაციური მეთოდის გამოყენებისას უცხოურ ვალუტაში აღებულ სესხთან დაკავშირებით წარმოშობილი კაპიტალიზებადი საკურსო სხვაობის თანხა არ შეიძლება აღმატებოდეს საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის ჯამურად წარმოშობილ უცხოურ ვალუტაში არსებულ სესხთან დაკავშირებულ საკურსო სხვაობის თანხას. იგი განიხილავს მთელ სამშენებლო პროექტს, როგორც საანგარიშო ერთეულს, რომელიც უგულვებელყოფს საანგარიშგებო პერიოდის თარიღებს. უცხოურ ვალუტაში აღებულ სესხთან დაკავშირებით წარმოშობილი საკურსო სხვაობის თანხა, რომელიც განიხილება როგორც საპროცენტო დანახარჯების კორექტირება, წარმოადგენს სააღრიცხვო შეფასებას. კომპანია განსაზღვრავს ჰიპოთეტურ საპროცენტო განაკვეთს სამუშაო ვალუტაში არსებული სესხისთვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ გამოქვეყნებული ინფორმაციის ქართულ ლარში აღებული სესხების საფუძველზე.

თუ სესხის აღება ხდება რომელიმე კონკრეტული განსაკუთრებული აქტივის მისაღებად, ამ აქტივთან მიმართებით ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებული დანახარჯების კაპიტალიზებად ნაწილს საწარმო განსაზღვრავს საანგარიშგებო პერიოდში ამ სესხთან დაკავშირებით გაწეული ნასესხები სახსრების ფაქტობრივი დანახარჯებიდან იმ საინვესტიციო შემოსავლების თანხის გამოქვითვით, რომელიც მიიღება მოცემული სესხის მოკლევადიანი ფინანსური დაბანდებიდან.

თუ საწარმომ აიღო ჩვეულებრივი, საერთო დანიშნულების სესხი, მაგრამ გამოიყენა რომელიმე კონკრეტული განსაკუთრებული აქტივის შესაძენად, საწარმოებლად ან ასაშენებლად, ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებული დანახარჯების კაპიტალიზებადი თანხის დასადგენად გამოიყენება ამ აქტივზე გაწეული დანახარჯების კაპიტალიზაციის ნორმა. კაპიტალიზაციის ნორმად გამოყენებულია მიღებული დოლარის სესხის ეფექტური საპროცენტო განაკვეთი, რომელიც შეადგენს 11%-12%.

საწარმომ ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებული დანახარჯების კაპიტალიზაცია, განსაკუთრებული აქტივის თვითღირებულებაში იწყება როდესაც საწარმო პირველად დააკმაყოფილებს ქვემოთ ჩამოთვლილ ყველა პირობას:

- განსაკუთრებულ აქტივზე გაწეულია პირველი დანახარჯები;
- გაწეულია ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებული პირველი დანახარჯები;
- დაწყებულია აუცილებელი სამუშაოები მოცემული აქტივის დანიშნულებისამებრ გამოსაყენებლად ან გასაყიდ მდგომარეობაში მოსაყვანად.

ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებული დანახარჯების კაპიტალიზაცია დროებით ჩერდება როდესაც შეფერხდება აქტივზე აქტიური სამუშაოების წარმართვის პროცესი. ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებული დანახარჯის კაპიტალიზაციის პროცესი წყდება როდესაც ძირითადად, მთავრდება მოცემული აქტივის დანიშნულებისამებრ გამოყენებისათვის ან გასაყიდად მომზადებისათვის საჭირო ყველა აქტიური სამუშაო.

3.10 ანარიცხები

ანარიცხების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც კომპანიას წარსული მოვლენის გამო აქვს მიმდინარე (იურიდიული თუ არაკონტრაქტული) ვალდებულება, მოსალოდნელია, რომ კომპანიას მოეთხოვება ამ ვალდებულების გასტუმრება და შესაძლებელია ვალდებულების ოდენობის სათანადო სიზუსტით განსაზღვრა.

ანარიცხებად აღიარებული ოდენობა წარმოადგენს იმ თანხის ყველაზე ზუსტ შეფასებას, რომელიც საჭირო იქნება მიმდინარე ვალდებულების დასაფარად ანგარიშგების პერიოდის ბოლოსთვის, ამ ვალდებულებასთან დაკავშირებული რისკებისა და გაურკვევლობების გათვალისწინებით. როდესაც ანარიცხები ფასდება მიმდინარე ვალდებულების გასასტუმრებლად საჭირო ფულადი ნაკადებით, მისი საბალანსო ღირებულება არის ამ ფულადი ნაკადების დღევანდელი ღირებულება (თუ ფულის დროითი ღირებულების გავლენა მასზე არსებითია). თუ ანარიცხების დაფარვისთვის საჭირო ეკონომიკური სარგებლის ნაწილობრივ ან მთლიანად მიღება მესამე მხარისგან არის მოსალოდნელი, მისაღები თანხის აღიარება აქტივად ხდება მაშინ, როდესაც ფაქტობრივად გარანტირებულია ანაზღაურების მიღება და მისაღები თანხის ოდენობის სარწმუნოდ შეფასება შესაძლებელია.

3.11 პირობითი აქტივები და ვალდებულებები

პირობითი ვალდებულებები არ არის აღიარებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, თუმცა განმარტებულია გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ფულადი ნაკადის გადინების ალბათობა დაფარვის მიზნით დაბალია. პირობითი აქტივი არ არის აღიარებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, თუმცა განმარტებულია მაშინ, როდესაც ეკონომიკური სარგებლის მიღება მოსალოდნელი.

3. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

3.12 ფინანსური ინსტრუმენტები

ფინანსური აქტივები

კომპანიის ხელმძღვანელობამ შეაფასა, თუ რომელი ბიზნეს მოდელი შეესაბამება კომპანიის ფინანსურ აქტივებს და ყველა აქტივი დააკლასიფიცირა შემდეგ კატეგორიად „ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივი“.

ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივი

მოცემული აქტივები წარმოიქმნება მომხმარებლებისთვის საქონლისა და მომსახურების მიწოდებიდან (მაგ. სავაჭრო მოთხოვნები). ასევე მოიცავს სხვა სახის ფინანსურ აქტივებს, რომლის ფლობის მიზანია სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღება და ეს ფულადი ნაკადები წარმოადგენს მხოლოდ ძირს და მასზე დარიცხულ პროცენტს. ისინი საწყისი აღიარებისას შეფასებულია რეალური ღირებულებით დამატებული გარიგების ის დანახარჯები, რომლებიც უშუალოდ დაკავშირებულია ფინანსური აქტივის შეძენასთან ან გამოშვებასთან და შემდგომში აღრიცხულია ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით, შემცირებული გაუფასურების რეზერვის მოცულობით.

სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურების რეზერვი აღიარებულია პრაქტიკული ხასიათის გამარტივებული მიდგომის საფუძველზე, რომლის მიხედვით არსებობის მანძილზე სავაჭრო მოთხოვნების მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი გამოითვლება რეზერვების მატრიცის გამოყენებით. კომპანია საკრედიტო ზარალის წარსულ მონაცემებს იყენებს ფინანსური აქტივების არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შესაფასებლად. კომპანია აფასებს ფინანსური აქტივებიდან ფულადი ნაკადების გადაუხდელობის ალბათობას. შემდეგ მოცემული ალბათობა მრავლდება მოსალოდნელ დანაკარგებზე, რომელიც გამოწვეულია ხელშეკრულების შეუსრულებლობის რისკიდან, რათა განისაზღვროს სავაჭრო მოთხოვნების არსებობის მანძილზე მოსალოდნელი გაუფასურების დანაკარგი. სავაჭრო მოთხოვნები აღრიცხულია წმინდა ღირებულებით, რომლის გაუფასურების რეზერვიც აღრიცხულია განცალკევებულ ანგარიშზე ხარჯის კორექტირებით, რომელიც აღიარებულია ხარჯად სხვა ხარჯების მუხლში მოგება ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში. კომპანია სავაჭრო მოთხოვნების სრულ ღირებულებას ჩამოწერს რეზერვის მოცულობაზე, როდესაც განსაზღვრავს რომ სავაჭრო მოთხოვნა აღარ ექვემდებარება დაბრუნებას.

ფინანსური აქტივები შეფასებულია ამორტიზებული ღირებულებით მოიცავს სავაჭრო და სხვა მოთხოვნებს და ფული და ფულის ეკვივალენტებს. ფული და ფულის ეკვივალენტები მოიცავს საღარიბოში არსებულ ფულს, მოთხოვნამდე დეპოზიტებს, სხვა მოკლევადიან მაღალლიკვიდურ ინვესტიციებს, რომლის დასრულების ვადაც განისაზღვრება სამი ან ნაკლები თვით.

ფინანსური ვალდებულებები

მიზნიდან გამომდინარე, კომპანია მის ფინანსურ ვალდებულებებს აკლასიფიცირებს შემდეგი კატეგორიებიდან ერთ-ერთით: რეალური ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით და სხვა ფინანსურ ვალდებულებებად.

კომპანიას ყველა ფინანსური ვალდებულება დაკლასიფიცირებული აქვს „სხვა ფინანსური ვალდებულებების“ კატეგორიაში. სხვა ფინანსური ვალდებულებები მოიცავს სავაჭრო და სხვა ვალდებულებებს. სხვა ფინანსური ვალდებულებები საწყისი აღიარებისას შეფასებულია რეალური ღირებულებით დამატებული გარიგების ის დანახარჯები, რომლებიც უშუალოდ დაკავშირებულია ფინანსური ვალდებულებების გამოშვებასთან. მსგავსი პროცენტის მატარებელი ვალდებულებები შემდგომში აღრიცხულია ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით, რომელიც უზრუნველყოფს მუდმივი განაკვეთით ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულებაზე საპროცენტო ხარჯის დარიცხვას. ნებისმიერი ფინანსური ვალდებულებისთვის საპროცენტო ხარჯი მოიცავს საწყის გარიგების ხარჯებს და ნებისმიერ დამატებით გადასახდელს ვალდებულების გამოსყიდვისთვის.

ფინანსური გარანტიის ხელშეკრულება

ხელშეკრულება, რომელიც მოითხოვს, რომ ემიტენტმა წინასწარგანსაზღვრული თანხები გადაუხადოს მფლობელს იმ ზარალის ასანაზღაურებლად, რომელსაც მიიღებს იმის გამო, რომ გარკვეულმა დებიტორმა, სავალო ინსტრუმენტისთვის თავდაპირველად დადგენილი ან შეცვლილი პირობების შესაბამისად, დროულად ვერ გადაუხადა ვალი. ფინანსური გარანტიის ხელშეკრულება თავდაპირველად აღიარდება სამართლიანი ღირებულებით შეფასებული ვალდებულების სახით. თავდაპირველი აღიარების შემდგომ, ამგვარი ხელშეკრულება ფასდება ფასს 9-ის მოთხოვნებით შეფასებული მოსალოდნელ საკრედიტო ზარალსა და კუმულაციური ამორტიზაციით შემცირებულ თავდაპირველად აღიარებულ თანხას შორის უმაღლესით.

3. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

უკუშესყიდვის შეთანხმებიდან წარმოქმნილი ფინანსური ვალდებულება

უკუშესყიდვის შეთანხმება არის ხელშეკრულება, რომლის თანახმად საწარმო ყიდის აქტივს და, ამასთან (იმავე ხელშეკრულების ან სხვა ხელშეკრულების ფარგლებში), იძლევა აქტივის უკუშესყიდვის პირობას, ან იძენს ამ აქტივის უკუშესყიდვის უფლებას (ოფციონი). გამოსყიდული აქტივი შეიძლება იყოს აქტივი, რომელიც საწარმომ მომხმარებელს თავდაპირველი ხელშეკრულების ფარგლებში მიჰყიდა, ან აქტივი, რომელიც, არსებითად, ამ აქტივის იდენტურია, ან სხვა აქტივი, რომლის კომპონენტიც არის თავდაპირველი ხელშეკრულების ფარგლებში გაყიდული აქტივი. უკუშესყიდვის შეთანხმებებს ერთ-ერთი შემდეგი ფორმა აქვს: ა) საწარმოს ვალდებულება, განახორციელოს აქტივის უკუშესყიდვა (ფორვარდი); ბ) საწარმოს უფლება, განახორციელოს აქტივის უკუშესყიდვა (ქოლ-ოფციონი); და გ) საწარმოს ვალდებულება, განახორციელოს აქტივის უკუშესყიდვა მომხმარებლის მოთხოვნით (ფუტ-ოფციონი).

კომპანიის მიერ გაფორმებული უკუშესყიდვის ხელშეკრულება წარმოშობს კომპანიის უფლებას, და არა ვალდებულებას, განახორციელოს აქტივის უკუშესყიდვა (ქოლ-ოფციონი). თუ საწარმოს აქვს აქტივის უკუშესყიდვის ვალდებულება ან უფლება (ფორვარდი ან ქოლოფციონი), მომხმარებელი არ მოიპოვებს კონტროლს აქტივზე, ვინაიდან მომხმარებელი შეზღუდულია თავის უნარში, განსაზღვროს აქტივის გამოყენების მიზანი (წესი) და მიიღოს აქტივთან დაკავშირებული პრაქტიკულად მთელი დარჩენილი სარგებელი, მიუხედავად იმისა, რომ მომხმარებელი ფიზიკურად ფლობს ამ აქტივს. მაშასადამე, საწარმომ ამგვარი ხელშეკრულება უნდა ასახოს, როგორც:

ა) იჯარა, ფასს 16-ის - „იჯარა“ - შესაბამისად, თუ საწარმოს უფლება აქვს, ან ვალდებულია, აქტივის უკუშესყიდვა განახორციელოს ისეთი თანხით, რომელიც ნაკლებია აქტივის თავდაპირველ გასაყიდ ფასზე, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელშეკრულება უკუიჯარის პირობით გაყიდვის ოპერაციის ნაწილია. თუ ხელშეკრულება უკუიჯარის პირობით გაყიდვის ოპერაციის ნაწილია, საწარმომ უნდა გააგრძელოს აქტივის აღიარება და, ამასთან, აღიაროს ფინანსური ვალდებულება მომხმარებლისგან მიღებულ ნებისმიერ ანაზღაურებასთან მიმართებით. საწარმომ ფინანსური ვალდებულება უნდა აღიაროს ფასს 9-ის შესაბამისად; ან

ბ) დაფინანსების შეთანხმება თუ საწარმოს უფლება აქვს, ან ვალდებულია, აქტივის უკუშესყიდვა განახორციელოს ისეთი თანხით, რომელიც ტოლია ან აღემატება ამ აქტივის თავდაპირველ გასაყიდ ფასს.

უკუშესყიდვის ფასის გასაყიდ ფასთან შედარებისას საწარმომ უნდა გაითვალისწინოს ფულის დროითი ღირებულება. თუ უკუშესყიდვის შეთანხმება დაფინანსების შეთანხმებას წარმოადგენს, მაშინ საწარმომ უნდა გააგრძელოს აქტივის აღიარება და, გარდა ამისა, აღიაროს ფინანსური ვალდებულება მომხმარებლისგან მიღებული ანაზღაურების ოდენობით. საწარმომ მომხმარებლისგან მიღებულ ანაზღაურებასა და მომხმარებლისთვის გადასახდელ ანაზღაურებას შორის სხვაობა უნდა აღიაროს, როგორც პროცენტი და, როდესაც შესაფერისია, როგორც დამუშავების ან შენახვის დანახარჯები (მაგალითად, დაზღვევისთვის). თუ ოფციონს მოქმედების ვადა გაუვა და ის არ არის გამოყენებული, საწარმომ უნდა შეწყვიტოს ვალდებულების აღიარება და ამონაგები აღიაროს.

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ურთიერთგადაფარვა

კომპანია ფინანსურ აქტივებსა და ვალდებულებებს ურთიერთგადაფარავს მაშინ, როდესაც ურთიერთგადაფარვა იურიდიულად არ არის შეზღუდული და კომპანია გეგმავს ანგარიშწორებას ნეტო საფუძველზე ან ფინანსური აქტივის მიღებას და ვალდებულების დაფარვას გეგმავს ერთგვაროვნად.

3.13 საკუთარი კაპიტალი და მფლობელის გადაწყვეტილებით განხორციელებული ოპერაციები

კომპანიის საკუთარი კაპიტალი განისაზღვრება კომპანიის წესდებით. კომპანიის წესდების ცვლილება შესაძლებელია მხოლოდ დამფუძნებლების გადაწყვეტილების საფუძველზე. ავტორიზებული კაპიტალი აღიარდება როგორც საკუთარი კაპიტალი იმ მოცულობით, რა მოცულობითაც კაპიტალი შეესებულია დამფუძნებლების მიერ. საკუთარი კაპიტალი აღიარდება დამფუძნებლების შენატანების რეალური ღირებულებით. დივიდენდების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც წარმოშობილია მათი გადახდის იურიდიული მოვალეობა. დივიდენდები აღიარდება, როგორც ვალდებულება და შესაბამისი თანხით მცირდება კაპიტალი.

ოპერაციები შეიძლება განხორციელდეს კომპანიის მშობელი საწარმოს ან/და საბოლოო მფლობელის გადაწყვეტილებით და არ წარმოადგენდეს კომპანიის ჩვეულებრივ სამეწარმეო საქმიანობას. ამ ტიპის ოპერაციებში, სხვა შემთხვევებთან ერთად, შეიძლება შედიოდეს: დაკავშირებულ მხარეებზე ფინანსური გარანტიის ხელშეკრულებების გაცემა, აქტივების ან ვალდებულებების გადაცემა ან ოპერაციები, რომლებიც არ ეფუძნება საბაზრო პირობებს ან კომერციულ მოტივაციას. ამგვარ შემთხვევებში, როდესაც ოპერაცია ხორციელდება მშობელი საწარმოს ან/და საბოლოო მფლობელის დისკრეციული გადაწყვეტილებით და არ წარმოადგენს კომპანიისთვის ჩვეულებრივ კომერციულ გარიგებას, მისგან წარმოშობილი ეფექტი აღიარდება პირდაპირ კაპიტალში, როგორც მშობელი საწარმოს/საბოლოო მფლობელის გადაწყვეტილებით განხორციელებული ოპერაციის ეფექტი. ამ ტიპის ოპერაციებთან დაკავშირებით არ ხდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში სარგებლის ან ზარალის აღიარება. კომპანია გამოყოფილად ასახავს და განმარტავს ასეთ ოპერაციებს ფინანსურ ანგარიშგებაში.

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და მსჯელობები

კომპანია ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და გადაწყვეტილებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისათვის. შეფასებები და გადაწყვეტილებები შემუშავებულია გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, რომელიც ითვალისწინებს კომპანიის ფუნქციონირებას განსაზღვრული მომავლის პირობებში. მომავალ პერიოდებში მიღებული გამოცდილება შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისაგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია.

4.1 ძირითადი საშუალებების და ბიოლოგიური აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადები

კომპანია გადახედავს ძირითადი საშუალებების და ბიოლოგიური აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადებს ანგარიშგების ყოველი წლიური პერიოდის ბოლოს. აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრისას, ხელმძღვანელობა განიხილავს მოსალოდნელ გამოყენებას, სავარაუდო ტექნიკურ მოძველებას, ფიზიკურ ცვეთას და გარემოს, რომელშიც ხდება აქტივის გამოყენება. ჩამოთვლილი პირობებისა თუ შეფასებების სისტემის ნებისმიერმა ცვლილებამ შეიძლება გამოიწვიოს მომავალი ცვეთის განაკვეთის კორექტირება. საანგარიშგებო წლის განმავლობაში კომპანიას არ შეუცვლია თავისი ძირითადი საშუალებების და ბიოლოგიური აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადები.

4.2 გრძელვადიანი აქტივების გაუფასურება

კომპანია აფასებს აქტივების საბალანსო ღირებულების ანაზღაურებადობას. როდესაც ფაქტები და გარემოებები მიუთითებენ აქტივების საბალანსო ღირებულების შესაძლო გაუფასურებაზე, კომპანია აფასებს ასეთი აქტივების ანაზღაურებად ღირებულებას. ანაზღაურებადი ღირებულების შეფასებისთვის კომპანია აკეთებს დაშვებებს მომავალ პერიოდებთან დაკავშირებით. მომავალ პერიოდთან დაკავშირებული განუსაზღვრელობებიდან გამომდინარე ფაქტიური შედეგი შესაძლებელია მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს იმ შედეგისგან, რაც აღრიცხულია ფინანსურ ანგარიშგებაში.

4.3 ფინანსური აქტივების გაუფასურება

კომპანია აფასებს ფინანსური აქტივებიდან ფულადი ნაკადების გადაუხდელობის ალბათობას. შემდეგ მოცემული ალბათობა მრავლდება მოსალოდნელ დანაკარგებზე, რომელიც გამოწვეულია ხელშეკრულების შეუსრულებლობის რისკიდან, რათა განისაზღვროს მოთხოვნების არსებობის მანძილზე მოსალოდნელი გაუფასურების დანაკარგი. მომავალ პერიოდთან დაკავშირებული განუსაზღვრელობებიდან გამომდინარე ფაქტიური შედეგი შესაძლებელია მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს იმ შედეგისგან, რომელიც აღრიცხულია ფინანსურ ანგარიშგებაში.

4.4 სასამართლო დავები

კომპანია ყოველი საანგარიშგებო პერიოდისათვის განიხილავს მიმდინარე სასამართლო დავების სამართალწარმოებას, რათა შეაფასოს ანარიცხის საჭიროება და განმარტოს ფინანსურ ანგარიშგებაში. ანარიცხების შეფასებისას კომპანია ითვალისწინებს სასამართლო პროცესის მიმდინარეობას, საკანონმდებლო მოთხოვნებს, ზარალის მოსალოდნელ ოდენობას, იურისტების და შესაბამისი სფეროს სპეციალისტების მოსაზრებას, მსგავსი დავების პრაქტიკულ შედეგებს. მომავალ პერიოდთან დაკავშირებული განუსაზღვრელობებიდან გამომდინარე, ფაქტიური შედეგი შესაძლებელია მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს იმ შედეგისგან, რაც აღრიცხულია ფინანსურ ანგარიშგებაში.

4.5 სესხით სარგებლობის დანახარჯზე საკურსო სხვაობის გავლენა

კაპიტალიზაციისთვის შესაბამისი უცხოურ ვალუტაში აღებულ სესხთან დაკავშირებით წარმოშობილი საკურსო სხვაობის თანხა განისაზღვრება კუმულაციის საფუძველზე, რომელიც ეყრდნობა ჯამური საპროცენტო ხარჯის მოცულობას, რომელიც წარმოიშობოდა კომპანიას რომ აეღო სესხი სამუშაო ვალუტაში (ქართულ ლარში). კუმულაციური მეთოდის გამოყენებისას უცხოურ ვალუტაში აღებულ სესხთან დაკავშირებით წარმოშობილი კაპიტალიზებადი საკურსო სხვაობის თანხა არ შეიძლება აღემატებოდეს საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის ჯამურად წარმოშობილ უცხოურ ვალუტაში არსებულ სესხთან დაკავშირებულ საკურსო სხვაობის თანხას. იგი განიხილავს მთელ სამშენებლო პროექტს, როგორც საანგარიშო ერთეულს, რომელიც უგულვებელყოფს საანგარიშგებო პერიოდის თარიღებს. უცხოურ ვალუტაში აღებულ სესხთან დაკავშირებით წარმოშობილი საკურსო სხვაობის თანხა, რომელიც განიხილება როგორც საპროცენტო დანახარჯების კორექტირება, წარმოადგენს სააღრიცხვო შეფასებას. კომპანია განსაზღვრავს ჰიპოთეტურ საპროცენტო განაკვეთს სამუშაო ვალუტაში არსებული სესხისთვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ გამოქვეყნებული ინფორმაციის ქართულ ლარში აღებული სესხების საფუძველზე. მომავალ პერიოდში საკურსო სხვაობის ცვლილების შედეგად შესაძლებელია შეიცვალოს კაპიტალიზებადი საკურსო სხვაობა.

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები (გაგრძელება)

4.6 ვალდებულებები ფინანსური გარანტიის ხელშეკრულებიდან

კომპანია გაცემული აქვს ფინანსური გარანტიის ხელშეკრულებები. ფინანსური გარანტიის ხელშეკრულება თავდაპირველად აღიარდება სამართლიანი ღირებულებით შეფასებული ვალდებულების სახით. თავდაპირველი აღიარების შემდგომ, ამგვარი ხელშეკრულება ფასდება ფასის 9-ის მოთხოვნებით შეფასებული მოსალოდნელ საკრედიტო ზარალსა და კუმულაციური ამორტიზაციით შემცირებულ თავდაპირველად აღიარებულ თანხას შორის უმაღლესით. კომპანია აფასებს მოსალოდნელ საკრედიტო ზარალს. მომავალ პერიოდთან დაკავშირებული განუსაზღვრელობებიდან გამომდინარე ფაქტიური შედეგი შესაძლებელია მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს იმ შედეგისგან, რომელიც აღრიცხულია ფინანსურ ანგარიშგებაში.

5. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა

სხვა საქმიანობებთან ერთად კომპანია დგას ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენებიდან წარმოქმნილ რისკების წინაშე. კომპანიის ოპერაციებისთვის დამახასიათებელი ძირითადი რისკებია: საკრედიტო რისკი; საპროცენტო რისკი; უცხოური ვალუტის რისკი; ლიკვიდურობის რისკი. ეს განმარტებითი შენიშვნა აღწერს კომპანიის მიზნებს, პოლიტიკებსა და პროცედურებს რისკების მართვისათვის და რისკების შეფასების მეთოდებს. ამ რისკებთან დაკავშირებული დამატებითი რაოდენობრივი ინფორმაცია წარმოდგენილია ფინანსურ ანგარიშგებაში. წინა პერიოდის შემდეგ არ მომხდარა არსებითი ცვლილება რისკების მართვისა და შეფასების მეთოდებში.

ფინანსური ინსტრუმენტების ძირითადი კატეგორიები

კომპანიის ძირითადი ფინანსური ვალდებულებები მოიცავს სავაჭრო და სხვა ვალდებულებებს და სესხებს. ამ ფინანსური ინსტრუმენტების მთავარი მიზანია კომპანიის ფინანსური უზრუნველყოფა. კომპანიას გააჩნია ისეთი ფინანსური აქტივები, როგორიცაა ფული და ფულის ეკვივალენტები. ცხრილი გვიჩვენებს ფინანსური ინსტრუმენტების ძირითადი კატეგორიებს.

	2024	2023
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	1,257,208	-
ფული და ფულის ეკვივალენტები	2,676	15,335
ფინანსური აქტივები	1,259,884	15,335
	2024	2023
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	3,452,191	3,323,037
სესხები	55,336,784	53,412,097
ფინანსური ვალდებულებები	58,788,975	56,735,134

ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულება

კომპანიას ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილი ზოგიერთი აქტივისა და ვალდებულებისთვის მოითხოვება რეალური ღირებულების განმარტება. ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების რეალური ღირებულებით შეფასებისათვის კომპანია იყენებს ხელმისაწვდომ საბაზრო მონაცემებს. რეალური ღირებულების შეფასებას კომპანია ახდენს შემდეგი ინფორმაციის საფუძველზე:

- დონე 1: აქტიურ ბაზარზე იდენტური ერთეულის კოტირებული ფასების გამოყენებით (არაკორექტირებული)
- დონე 2: თუ ასეთი ფასი არ არსებობს, სხვა პირდაპირ ან არაპირდაპირი ემპირიული მონაცემების მიხედვით, როგორიცაა ისეთი ბაზრის კოტირებული ფასი, რომელიც არ არის აქტიური იმ იდენტური ერთეულისათვის, რომელსაც სხვა მხარე ფლობს, როგორც აქტივს.
- დონე 3: არასაბაზრო მონაცემების საფუძველზე. თუ პირველ და მეორე დონეებში აღწერილი ემპირიული ფასები არ არსებობს, მაშინ ხდება შეფასების სხვა მეთოდების გამოყენება.

რეალური ღირებულების კლასიფიკაცია დონეებად დამოკიდებულია გამოყენებული ინფორმაციის დონეზე და რეალური ღირებულების გაანგარიშებაში მის მნიშვნელობაზე. დონეებს შორის გადატანა აისახება იმ პერიოდში, როდესაც ადგილი აქვს ასეთ მოვლენას.

რეალური ღირებულება არის ის თანხა, რომელიც მიიღება აქტივის გაყიდვის შედეგად, ან გადაიხდება ვალდებულების გადაცემის შედეგად ბაზრის მონაწილეებს შორის ჩვეულებრივი გარიგების პირობებში შეფასების თარიღისთვის. კომპანია ფინანსური ინსტრუმენტების სავარაუდო რეალურ ღირებულებას განსაზღვრავს ხელმისაწვდომი საბაზრო ინფორმაციის საფუძველზე, ასეთის არსებობის შემთხვევაში, და სათანადო შეფასებების

5. ფინანსური ინსტრუმენტები –რისკების მართვა (გაგრძელება)

მეთოდების გამოყენებით. რეალური ღირებულების დასადგენად, საბაზრო მონაცემების ინტერპრეტაციისთვის განსჯის გამოყენებაა საჭირო. საქართველო კვლავაც ავლენს განვითარებადი ბაზრისათვის დამახასიათებელ ნიშნებს და ეკონომიკური პირობები ისევ ზღუდავს ფინანსურ ბაზრებზე საქმიანობის მოცულობას. საბაზრო კოტირებები შეიძლება მოძველებული იყოს, იძულებითი რეალიზაციის გარიგებებს ასახავდეს და ამიტომ არ წარმოადგენდეს ფინანსური ინსტრუმენტების რეალურ ღირებულებას. კომპანია ყველა არსებულ საბაზრო ინფორმაციას იყენებს ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულების შესაფასებლად.

ფიქსირებული განაკვეთის მქონე ფინანსური აქტივების და ვალდებულებების რეალური ღირებულება დგინდება იდენტურ ფინანსურ ინსტრუმენტებზე პირველადი აღიარების დროს დაფიქსირებულ საპროცენტო განაკვეთსა და მიმდინარე საპროცენტო განაკვეთების შედარების შედეგად. ფიქსირებული განაკვეთის მქონე ფინანსური ინსტრუმენტის რეალური ღირებულება გამომდინარეობს ფულადი სახსრების ნაკადის ღირებულებიდან, რომელიც დისკონტირებულია ფულის ბაზრის მიმდინარე იმ საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით, რომელიც დამახასიათებელია მსგავსი საკრედიტო რისკისა და ვადიანობის ფინანსური ინსტრუმენტებისათვის. კომპანიის ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების რეალური ღირებულება, რომელიც არის ლიკვიდური და ხასიათდება მოკლევადიანობით, უახლოვდება მათ საბალანსო ღირებულებას.

მიღებული სესხები მეორე დონის მიხედვით შეფასებული რეალური ღირებულება ეფუძნება მომავალი ფულადი ნაკადების დისკონტირებულ ღირებულებას. დისკონტირების განაკვეთი მერყეობს 12%-დან 14%-მდე, რომელიც ემთხვევა საბაზრო განაკვეთს. მიღებული სესხების რეალური ღირებულება უახლოვდება მათ საბალანსო ღირებულებას.

ფულისა და ფულის ეკვივალენტების რეალური ღირებულება შეფასებულია პირველი დონის მიხედვით, სხვა დანარჩენი ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების რეალური ღირებულება განსაზღვრულია მესამე დონის საფუძველზე.

კაპიტალის მართვა

კომპანია თავის კაპიტალთან დაკავშირებულ რისკს მართავს იმისათვის, რომ უზრუნველყოს ფუნქციონირებად საწარმოდ დარჩენა და ამავდროულად დაინტერესებული მხარეების უკუგების მაქსიმიზაცია, მოზიდული და საკუთარი კაპიტალის ოპტიმალური ბალანსის დაცვის გზით. კომპანიის ხელმძღვანელობა რეგულარულად მიმოიხილავს კაპიტალის სტრუქტურას.

ზოგადი მიზნები, პოლიტიკა და პროცესები

კომპანიის ხელმძღვანელობას გააჩნია საერთო პასუხისმგებლობა კომპანიის რისკების მართვის მიზნებისა და პოლიტიკის განსაზღვრისთვის. ამასთანავე, პასუხისმგებლობის შენარჩუნებასთან ერთად, მიზნებისა და პროცესების ეფექტურად დანერგვისთვის მას დელეგირებული აქვს პროცესების შემუშავებისა და ოპერირების უფლება კომპანიის ფინანსური მხარისთვის. კომპანიის ხელმძღვანელობა იღებს ყოველთვიურ ანგარიშგებას კომპანიის ფინანსური მხარისგან, მიმოიხილავს თავიანთი დასახული მიზნებისა და პოლიტიკის შესრულებისათვის განხორციელებული პროცესების ეფექტურობას. კომპანიის შიდა აუდიტორები დამატებით მიმოიხილავენ რისკების მართვის პოლიტიკას, პროცესებს და წარუდგენენ კომპანიის ხელმძღვანელობას თავის მოსაზრებას. კომპანიის ხელმძღვანელობის მთავარი მიზანი არის დაიცვას კომპანია რისკის მიუღებელი დონისაგან და საშუალება მისცეს მას მიაღწიოს საქმიანობის მიზანს.

სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი განისაზღვრება, როგორც რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტების ღირებულება მერყევი იქნება სავალუტო კურსის ცვალებადობის გამო. კომპანიას გააჩნია უცხოურ ვალუტაში განხორციელებული გარკვეული ოპერაციები. კომპანია არ იყენებს არანაირ წარმოებულ ინსტრუმენტებს სავალუტო რისკის მართვისთვის. ქვემოთ მოცემული ცხრილი გვიჩვენებს ფინანსურ ინსტრუმენტებს დენომინირებულს უცხოურ ვალუტაში.

	2024		2023	
	აშშ დოლარი	ევრო	აშშ დოლარი	ევრო
საჭირო და სხვა ვალდებულებები	496,608	453,906	-	684,649
სესხები	55,336,784		53,412,097	-
სულ ფინანსური ვალდებულებები	55,833,392	453,906	53,412,097	684,649
წმინდა სავალუტო პოზიცია	(55,833,392)	(453,906)	(53,412,097)	(684,649)

5. ფინანსური ინსტრუმენტები –რისკების მართვა (გაგრძელება)

კომპანიის მგრძნობელობა აშშ დოლარის და ევროს ლართან მიმართებაში 20%-ით გაზრდაზე და შემცირებაზე. 20% არის მგრძნობიარობის განაკვეთი, რომელიც გამოიყენება კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ სავალუტო რისკის შიდა კონტროლისთვის და წარმოადგენს სავალუტო კურსის სხვაობის შეფასებას კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ. მგრძნობელობის ანალიზი მოიცავს მხოლოდ უცხოურ ვალუტაში გამოხატულ დაუფარავ ფულად მუხლებს და აკორექტირებს მათ გადაფასებას პერიოდის ბოლოს სავალუტო კურსების გონივრულობის ფარგლებში მოსალოდნელი ცვლილების მიხედვით.

	2024		2023	
	აშშ დოლარი/ლარი + 20%	აშშ დოლარი/ლარი - 20%	ევრო/ლარი + 20%	ევრო/ლარი - 20%
მოგება/(ზარალი) 2024	(11,166,678)	11,166,678	(90,781)	90,781
მოგება/(ზარალი) 2023	(10,682,419)	10,682,419	(136,930)	136,930

საპროცენტო განაკვეთის რისკი

საპროცენტო განაკვეთის რისკი წარმოიშობა საბაზრო საპროცენტო განაკვეთების პოტენციური ცვლილების გამო, რომელმაც შესაძლოა უარყოფითი გავლენა იქონიოს ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების რეალურ ღირებულებებზე ან მომავალ ფულად ნაკადებზე. კომპანია დგას საპროცენტო რისკის წინაშე, რადგანაც გააჩნია ცვლადი საპროცენტო განაკვეთის მქონე მიღებული სესხები.

მგრძნობელობის ანალიზი ჩატარდა საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის, როგორც არაწარმოებული ინსტრუმენტების საპროცენტო განაკვეთების მიმართ არსებული რისკის საფუძველზე. ცვლადი განაკვეთის ვალდებულებების შეთხვევაში, ანალიზი მომზადდა იმის დაშვებით, რომ საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის დაუფარავი ვალდებულებების თანხა მთელი წლის განმავლობაში დაუფარავი იყო. 100 საბაზისო ერთეულის გაზრდა (100 საბაზისო ერთეული შეესაბამება 1 პროცენტთან ცვლილებას) ან შემცირება ხდება საპროცენტო განაკვეთის რისკის შიდა ანგარიშგებისას უმაღლესი რგოლის ხელმძღვანელობისთვის და წარმოადგენს ხელმძღვანელობის მიერ საპროცენტო განაკვეთების შესაძლო ცვლილების შეფასებას, გონივრულობის ფარგლებში. ცხრილი გვიჩვენებს საპროცენტო განაკვეთის მგრძნობელობას.

	2024		2023	
	ზრდა 1%-ით	შემცირება 1%-ით	ზრდა 1%-ით	შემცირება 1%-ით
მოგება/(ზარალი)	268,561	(268,561)	254,955	(254,955)

მგრძნობელობის ანალიზი შეზღუდულია, რადგან ცვლადები რეალურად ურთიერთდაკავშირებული არიან და მათი ცვლილება არაა წრფივი პროცესი. ასევე, ანალიზი არ ითვალისწინებს აქტივებისა და ვალდებულებების აქტიურ მართვას, რაც კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას ბაზრის ცვლილებების დროს ცვლის. მოცემული ანალიზი ჰიპოთეტურია და მხოლოდ მოსაზრებაა შესაძლო რისკებზე, მაშინ როცა რეალური ბაზრის ცვლილების წინასწარ განსაზღვრება შეუძლებელია.

საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი არის ფულადი ზარალის მიღების რისკი დებიტორის ან სხვა კონტრაგენტის მიერ კრედიტორული დავალიანების არდაფარვის შემთხვევაში. კომპანიის საფრთხეს საკრედიტო რისკთან დაკავშირებით განაპირობებს თითოეული მომხმარებლის ინდივიდუალური მახასიათებლები. კომპანიის საკრედიტო რისკი, ძირითადად განპირობებულია სავაჭრო მოთხოვნებიდან და ფული და ფულის ეკვივალენტებიდან (გარდა ნაღდი ფულისა). კომპანია საკრედიტო რისკს მართავს გარკვეული პრინციპების საფუძველზე, რომლებიც ითვალისწინებს ცალკეული კონტრაგენტის კრედიტუნარიანობის საფუძველიან ანალიზს, კონტრაგენტის დიდძალი დავალიანების თავიდან აცილებას, ყველა დაუფარავი საკრედიტო თანხის დაფარვის მკაცრ კონტროლს და პრობლემური ფინანსური აქტივების ინტენსიურ მართვას.

საკრედიტო რისკის მონიტორინგის მიზნით, კომპანია მომხმარებლებს აერთიანებს მათი ვადაგადაცილების სტატუსის მიხედვით და რისკის სამართავად კომპანია განიხილავს შემდეგ ფაქტორებს: მომხმარებლის დაფინანსების წყარო და ფინანსური სიმძლევების არსებობას. მაღალ რისკიანი მომხმარებლები გაერთიანებულია შეზღუდულ მომხმარებელთა ჯგუფში. ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულება წარმოადგენს მაქსიმალურ საკრედიტო რისკს. ქვემოთ მოცემული ცხრილი გვიჩვენებს საკრედიტო რისკის მაქსიმალურ ოდენობას.

	2024	2023
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	1,257,208	-
ფული და ფულის ეკვივალენტები გარდა ნაღდი ფულისა	2,676	15,335
სულ	1,259,884	15,335

5. ფინანსური ინსტრუმენტები -რისკების მართვა (გაგრძელება)

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკში იგულისხმება საკმარისი ფინანსური რესურსის არ არსებობა, რათა მოხდეს ფინანსური ვალდებულებების დაფარვა შესაბამის ვადაში. ლიკვიდურობის რისკის მართვისთვის კომპანია ახორციელებს სისტემატურ ზედამხედველობას მოსალოდნელ მომავალ ფულად ნაკადებზე, რომელიც წარმოადგენს აქტივებისა და ვალდებულებების მართვის პროცესის ნაწილს.

ქვემოთ ცხრილში მოცემულია ფინანსური ვალდებულებების კატეგორიების ლიკვიდურობის ანალიზი იმისდა მიხედვით, თუ როდის არის მოსალოდნელი მათი ამოღება ან დაფარვა. ამ ცხრილებში წარმოდგენილი თანხები შესაძლოა არ შეესაბამებოდეს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში აღრიცხულ თანხებს, რადგან ქვემოთ წარმოდგენილი ინფორმაცია მოიცავს ფინანსური ვალდებულებების ვადიანობის ანალიზს, რაც უთითებს ხელშეკრულების მიხედვით დარჩენილ მთლიან დაუდისკონტირებელ გადახდებს საპროცენტო დავალიანების ჩათვლით.

	1 წლამდე	1-დან 5 წლამდე	5 წელზე მეტი	სულ
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	3,452,191	-	-	3,452,191
სესხები	35,470,544	17,898,177	20,135,451	73,504,172
სულ ფინანსური ვალდებულებები	38,922,735	17,898,177	20,135,451	76,956,363
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	3,323,037	-	-	3,323,037
სესხები	42,436,902	22,023,192	-	64,460,094
სულ ფინანსური ვალდებულებები	45,759,939	22,023,192	-	67,783,131

ლიკვიდურობის ანალიზი მომზადებულია იმ დაშვებით, რომ ფინანსური ინსტიტუტები ფინანსური შეზღუდვების დარღვევით წარმოქმნილ სესხების სრული ან ნაწილობრივ ვადაზე ადრე დაფარვის უფლებას. დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ განმარტებითი შენიშვნა 14.

6. ამონაგები

კომპანიის ამონაგები სრულად ფორმირებულია ყურძნის რეალიზაციიდან. რეალიზაცია სრულად განხორციელდა მშობელ საწარმოზე.

7. ზარალი სასოფლო-სამეურნეო საქმიანობიდან

ბიოლოგიური აქტივებიდან მიღებული სოფლის მეურნეობის პროდუქტი თავდაპირველი აღიარებისას ფასდება ნაყოფის მიღების მომენტში გაყიდვისათვის საჭირო შეფასებული დანახარჯებით შემცირებული რეალური ღირებულებით და აღირიცხება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში. სოფლის მეურნეობის პროდუქციის საწყისი აღიარებისას მიღებული შემოსავალი აღიარდება მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში. სოფლის მეურნეობის პროდუქტის მიღებასთან დაკავშირებით გაწეული ხარჯები ჩამოიწერება პერიოდის ხარჯად.

კომპანიას აქვს გაშენებული საფერავის ჯიშის ყურძენი. კომპანიას აქვს ორი ვენახი, ერთ-ერთი შევიდა ექსპლუატაციაში 2022 წლის ბოლოს, ხოლო მეორე საანგარიშგებო პერიოდში. ჯამურად მიღებული მოსავალი 2024 წლის პერიოდში შეადგენს 1,236 ტონას, რომლის რეალური ღირებულება გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯების გამოკლებით შეადგენს 1,760,929 ლარს. (2023: 695 ტონა, ღირებულებით 905,203 ლარი).

ცხრილი გვიჩვენებს სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის ხარჯებს.

	2024	2023
ცვეთა და ამორტიზაცია	(1,645,364)	(1,757,520)
დამხმარე მასალების ჩამოწრა	(1,057,365)	(1,297,416)
ხელფასის ხარჯი	(1,014,988)	(2,150,560)
სხვა	(550,075)	(369,284)
	(4,267,792)	(5,574,780)

შპს „გურჯაანი აგრო“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის

(ლარში)

8. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

	2024	2023
გადასახადები გარდა მოგების გადასახადისა	(302,357)	(327,880)
სხვა ხარჯები	(217,309)	(226,183)
ზარალი ძირითადი საშუალების გასვლიდან	(41,248)	(6,993)
	(560,914)	(561,056)

9. ძირითადი საშუალებები

ისტორიული ღირებულება	მიწა	შენობა- ნაგებობები	ოფისის აღჭურვილობა	დანადგარები	მშენებარე აქტივები	სოფლის მეურნეობის ტექნიკა	სულ
31.12.2022	5,999,225	18,740,843	34,678	737,511	1,575,912	6,893,491	33,981,660
შემოსვლა	-	-	1,663	-	46,441	80,860	128,964
გასვლა	-	-	-	-	-	(195,081)	(195,081)
გადასვლა	-	1,622,353	-	-	(1,622,353)	-	-
31.12.2023	5,999,225	20,363,196	36,341	737,511	-	6,779,270	33,915,543
შემოსვლა	13,804	560	-	1,570	-	165,414	181,348
გასვლა	-	(61,253)	-	-	-	(335,043)	(396,296)
31.12.2024	6,013,029	20,302,503	36,341	739,081	-	6,609,641	33,700,595
დაგროვილი ცვეთა							
31.12.2022	-	(643,585)	(34,341)	(442,807)	-	(1,745,980)	(2,866,713)
ცვეთის ხარჯი	-	(618,155)	-	(78,393)	-	(546,348)	(1,242,896)
გასვლა	-	-	-	-	-	53,360	53,360
31.12.2023	-	(1,261,740)	(34,341)	(521,200)	-	(2,238,968)	(4,056,249)
ცვეთის ხარჯი	-	(618,155)	-	(94,909)	-	(535,348)	(1,248,412)
გასვლა	-	-	-	-	-	98,746	98,746
31.12.2024	-	(1,879,895)	(34,341)	(616,109)	-	(2,675,570)	(5,205,915)
საბალანსო ღირებულება							
31.12.2023	5,999,225	19,101,456	2,000	216,311	-	4,540,302	29,859,294
31.12.2024	6,013,029	18,422,608	2,000	122,972	-	3,934,071	28,494,680

2024 და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის ძირითადი საშუალებები სრულად წარმოადგენს კომპანიის და დაკავშირებული მხარეების მიერ მიღებული სესხების უზრუნველყოფას.

გრძელვადიანი აქტივების ტესტირება გაუფასურებაზე

ხელმძღვანელობამ ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის ფინანსური შედეგების საფუძველზე იმსჯელა არსებობდა თუ არა გაუფასურების ნიშნები, რისთვისაც გამოიყენა ინფორმაციის შიდა და გარე წყაროები. ხელმძღვანელობის პოზიცია წარმოდგენილია ქვემოთ:

სასოფლო სამეურნეო საქმიანობა - ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეული მოიცავს გრძელვადიან ნარგავებს, მიწებს და სოფლის მეურნეობის ტექნიკას. ზრდასრული გრძელვადიანი ნარგავების ფინანსური შედეგების საფუძველზე 2024 და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით იდენტიფიცირდა სოფლის მეურნეობის სეგმენტის (ძირითადი საშუალებების და ბიოლოგიური აქტივების) გაუფასურების ნიშნები.

ხელმძღვანელობამ არ გაიანგარიშა ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის (სოფლის მეურნეობის სეგმენტის) ანაზღაურებადი ღირებულება. ხელმძღვანელობამ ამ სეგმენტში შემავალი მიწებისთვის 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დაკვირვებად საბაზრო მონაცემებზე დაყრდნობით დაადგინა, რომ მათი ინდივიდუალური საბალანსო ღირებულება არ აღემატება მათ გაყიდვის დანახარჯებით შემცირებულ სამართლიან ღირებულებას. მიწების გაყიდვის დანახარჯებით შემცირებულ სამართლიან ღირებულება არ შეფასებულა 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

შპს „გურჯაანი აგრო“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ლარში)

10. ბიოლოგიური აქტივები

ისტორიული ღირებულება	ვენახები	მზარდი ვენახები	სულ
31.12.2022	21,653,447	3,843,902	25,497,349
შემოსვლა	-	492,473	492,473
სესხის დანახარჯები	-	466,706	466,706
31.12.2023	21,653,447	4,803,081	26,456,528
შემოსვლა	-	395,639	395,639
სესხის დანახარჯები	-	284,778	284,778
ექსპლუატაციაში შესვლა	5,483,498	(5,483,498)	-
31.12.2024	27,136,945	-	27,136,945
დაგროვილი ცვეთა			
31.12.2022	-	-	-
ცვეთა	(541,336)	-	(541,336)
31.12.2023	(541,336)	-	(541,336)
ცვეთა	(541,336)	-	(541,336)
31.12.2024	(1,082,672)	-	(1,082,672)
საბალანსო ღირებულება			
31.12.2023	21,112,111	4,803,081	25,915,192
31.12.2024	26,054,273	-	26,054,273

კომპანია სესხის სარგებლობასთან დაკავშირებულ დანახარჯებს აკაპიტალიზებს განსაკუთრებულ აქტივზე. 2024 წელს კომპანიამ დააკაპიტალიზა მშენებარე აქტივებზე საპროცენტო ხარჯი 284,778 (2023: 466,706 ლარი).

კომპანიის ბიოლოგიური აქტივები წარმოადგენს კომპანიის და დაკავშირებული მხარეების მიერ მიღებული სესხების უზრუნველყოფას.

11. მარაგები

	2024	2023
სოფლის მეურნეობის ნაგებობისთვის განკუთვნილი მარაგები	299,151	449,366
სხვა	63,248	79,557
	362,399	528,923

12. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	2024	2023
სავაჭრო მოთხოვნები	1,257,208	257,655
საექვო ვალების რეზერვი	-	(257,655)
სულ ფინანსური მოთხოვნები	1,257,208	-
წინასწარ გადახდილი გადასახადები	288,131	288,562
სულ მოთხოვნები	1,545,339	288,562

ქვემოთ მოცემული ცხრილი გვიჩვენებს საექვო ვალების რეზერვის მოძრაობას:

	2024	2023
1 იანვარი	(257,655)	(120,616)
მიმდინარე პერიოდის გაუფასურების ხარჯი	-	(137,039)
ჩამოწერა	257,655	-
31 დეკემბერი	-	(257,655)

კომპანიამ განიხილა მოცემული ფაქტორების კომბინირებული ეფექტი: ა) დებიტორის ფინანსური მდგომარეობა; ბ) სახელშეკრულებო პირობების შესრულების ისტორია; გ) დებიტორის შემოსავლიანობა. კომპანიას მიაჩნია, რომ სავაჭრო მოთხოვნების წარმოადგენს სრულად გაუფასურებულს. სავაჭრო მოთხოვნები არ წარმოადგენს უზრუნველყოფილს. ინფორმაცია გაუფასურების პოლიტიკის შესახებ იხილეთ განმარტებით შენიშვნა 3.

5. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები (გაგრძელება)

კომპანიას აქვს სავაჭრო მოთხოვნების ნაშთი მშობელი საწარმოს მიმართ (შენიშვნა 15) 2024 და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. კომპანია სისტემატურად განიხილავს მშობელი საწარმოს ფინანსურ მდგომარეობას, გადაწყვეტილებას და სხვა შესაბამის ინფორმაციას, რაც უკავშირდება ურთიერთობებს მშობელ საწარმოსთან. კომპანიის ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ აღნიშნული მოთხოვნები არ არის გაუფასურებული და მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი არაარსებითობიდან გამომდინარე არ არის აღიარებული ფინანსურ ანგარიშგებაში. მშობელი საწარმოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება, რომელიც გულისხმობს აღნიშნული მოთხოვნების გადავადებას, შვილობილი კომპანიის მიერ განიხილება როგორც კაპიტალის შემცირების ოპერაცია. ხელმძღვანელობის შეფასებით მსგავსი გადაწყვეტილება არ იყო მიღებული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. შესაბამისად, სავაჭრო მოთხოვნების მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასება განხორციელებულია არსებული ფაქტებისა და ინფორმაციების საფუძველზე, რაც არ მოიცავს აღნიშნული კაპიტალის შემცირების ეფექტს.

13. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

	2024	2023
სავაჭრო ვალდებულებები	3,117,320	2,957,666
სხვა ვალდებულება	334,871	365,371
სულ სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	3,452,191	3,323,037

14. სესხები

	2024	2023
გრძელვადიანი ნაწილი წარდგენილი როგორც მოკლევადიანი		
ცვლადი პროცენტის მქონე საბანკო სესხები	25,278,839	19,131,673
მოკლევადიანი ნაწილი		
ცვლადი პროცენტის მქონე საბანკო სესხები	1,577,296	6,363,839
ფინანსური ვალდებულება უკუ შესყიდვის შეთანხმებიდან	28,480,649	27,916,585
სულ სესხები	55,336,784	53,412,097

ქვემოთ მოცემული ცხრილი გვიჩვენებს სესხების მოძრაობას.

	2024	2023
1 იანვარი	53,412,097	30,767,846
სესხის აღება	3,667,352	-
ფინანსური ვალდებულება უკუშესყიდვის შეთანხმებიდან (*)	239,810	25,555,199
საპროცენტო ხარჯი	4,589,380	5,398,579
გადახდილი პროცენტი	(4,977,945)	(3,425,623)
მშობელი საწარმოს მიერ კომპანიის სასარგებლოდ გადახდილი პროცენტი	(178,948)	-
ძირის გადახდა	-	(5,255,165)
მშობელი საწარმოს მიერ კომპანიის სასარგებლოდ გადახდილი ძირი	(3,777,519)	-
საკურსო სხვაობა	2,362,557	371,261
31 დეკემბერი	55,336,784	53,412,097

კომპანია წარმოადგენს მშობელი საწარმოს და მისი შვილობილი კომპანიების (შემდეგში ჯგუფი) მიერ მიღებული სესხის გარანტორს და მის საკუთრებაში არსებული ქონება სრულად წარმოადგენს კომპანიის და დაკავშირებული მხარეების მიერ მიღებული სესხის უზრუნველყოფას.

კომპანიის მიერ მიღებული სესხების ხელშეკრულებები შეიცავს ფინანსურ და არაფინანსურ შეზღუდვებს ძირითადი ფინანსური შეზღუდვაა: სესხის მომსახურების კოეფიციენტი არ უნდა იყოს ნაკლები 1.3. სესხის მომსახურების კოეფიციენტი ანგარიშდება მშობელი საწარმოს კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებიდან. მშობელი საწარმოს 2024 და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ვერ აკმაყოფილებდა აღნიშნულ კოეფიციენტს. კოეფიციენტის დარღვევის შემთხვევაში გამსესხებელს წარმოექმნება უფლება და არა ვალდებულება მოითხოვოს სესხების სრული ან ნაწილობრივ დაფარვა ვადაზე ადრე. შესაბამისად სესხები სრულად წარდგენილია, როგორც მოკლევადიანი.

დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ შენიშვნა 5 და 17.

14. სესხები (გაგრძელება)

(*) უკუ შესყიდვის შეთანხმება : 2023 წელს (აგვისტო-სექტემბერი) ფინანსურმა ინსტიტუტმა კომპანიაზე და მის მშობელ საწარმოზე გაცემული სესხების სანაცვლოდ იურიდიულად დაისაკუთრა კომპანიის საკუთრებაში არსებული მიწები, ვენახები და მასთან დაკავშირებული ნაგებობები. ფინანსური ინსტიტუტის მიერ დასაკუთრებული აქტივების ჯამური საბალანსო ღირებულება დასაკუთრების მდგომარეობით შეადგენდა 48,802,000 ლარს. აქტივების დასაკუთრების სანაცვლოდ შეწყდა კომპანიის მიერ მიღებული სესხების აღიარება 5,255,165 ლარის ოდენობით, ხოლო მშობელი საწარმოს სესხების შემცირდა 20,300,034 ლარით, რაც განხორციელდა კომპანიის კაპიტალიდან ფულადი სახსრების გატანის გზით. ფინანსურმა ინსტიტუტმა დასაკუთრებული აქტივები კომპანიას გადასცა 1 წლიანი იჯარით. იჯარის წლიური ფასი შეადგენს 3,400,000 ლარს გადასახადების გარეშე. 1 წლის შედეგ კომპანიას აქვს აქტივების უპირატესი გამოსყიდვის უფლება. გამოსყიდვის ჯამური ფასი შეადგენს 29,500,000 ლარს.

დამატებით, 2024 წელს უკუშესყიდვის ხელშეკრულებით ფინანსურ ინსტიტუტს გადაეცა მიწები, ვენახები და მასთან დაკავშირებული ნაგებობები ჯამური საბალანსო ღირებულებით 743,000 ლარი. შედეგად, მშობელი საწარმოს სასესხო ვალდებულება შემცირდა 239,810 ლარის ოდენობით, რაც განხორციელდა კომპანიის კაპიტალიდან ფულადი სახსრების გატანის გზით. 6 თვის ვადაში კომპანიას აქვს აღნიშნული აქტივების უპირატესი გამოსყიდვის უფლება. გამოსყიდვის ჯამური ფასი შეადგენს 279,000 ლარს. დასაკუთრებული ქონება კომპანიას გადაეცა 6 თვიანი იჯარით. იჯარის ფასი 6 თვიანი პერიოდისთვის გადასახადების გარეშე შეადგენს 87,000 ლარს.

მე-3 განმარტებით შენიშვნაში მოცემული სააღრიცხვო პოლიტიკის შესაბამისად, უკუშესყიდვის ხელშეკრულება, აღიარდება როგორც დაფინანსების შეთანხმება თუ საწარმოს უფლება აქვს აქტივის უკუშესყიდვა განხორციელოს ისეთი თანხით, რომელიც ტოლია ან აღემატება ამ აქტივის თავდაპირველ გასაყიდ ფასს. კომპანია მომხმარებლისგან მიღებულ ანაზღაურებასა და მომხმარებლისთვის გადასახდელ ანაზღაურებას შორის სხვაობას აღიარებს, როგორც საპროცენტო ხარჯს და, როდესაც შესაფერისია, როგორც დამუშავების ან შენახვის დანახარჯს.

საანგარიშგებო პერიოდში უკუშესყიდვის ხელშეკრულებაში მხარეთა შეთანხმებით განხორციელდა შემდეგი ცვლილებები:

- 6 თვის ვადით (2025 წლის მარტამდე) გახანგრძლივდა არსებული შეთანხმება,
- წლიური საიჯარო ქირა დარჩა უცვლელი,
- დაკორექტირდა გამოსყიდვის ნომინალური ღირებულება და გაუტოლდა დასაკუთრების ღირებულებას აშშ დოლარში. საანგარიშგებო პერიოდის ბოლო მდგომარეობით გამოსყიდვის ღირებულება შეადგენს 27,209,000 ლარს.

ხელმძღვანელობამ აღნიშნული შეთანხმება განიხილა, როგორც უკუშესყიდვიდან წარმოქმნილი ფინანსური ვალდებულების მოდიფიკაციის ეფექტი და წარადგინა მიმდინარე პერიოდის საპროცენტო ხარჯის კორექტირების სახით.

15. ნაშთები და ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

დაკავშირებული მხარეები მოიცავს მშობელ საწარმოს, მშობელი საწარმოს სხვა შვილობილებს და საერთო მფლობელობაში არსებულ კომპანიებს. ცხრილი გვიჩვენებს ოპერაციებს და ნაშთებს დაკავშირებულ მხარეებთან.

	2024	2023
ნაშთები		
სავაჭრო მოთხოვნები	1,257,208	257,655
საექვო ვალების რეზერვი	-	(257,655)
წმინდა სავაჭრო მოთხოვნები	1,257,208	-
ოპერაციები		
ამონაგები	1,835,529	950,590
სხვა შემოსავალი	-	314,082
სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის ხარჯები	(109,701)	-

ოპერაციების კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებაში: კომპანიამ 2024 წელს მშობელი საწარმოს, მის შვილობილებს და საერთო კონტროლს დაქვემდებარებულ კომპანიებს მიაწოდა მარაგები. მიწოდებიდან წარმოქმნილი სავაჭრო მოთხოვნა აღიარდა სამართლიანი ღირებულებით, რომელიც უტოლდება მომავალი ფულადი ნაკადების საბაზრო საპროცენტო განაკვეთით დისკონტირებულ ღირებულებას და რომელიც არსებითად უტოლდება ნულს. სხვაობა ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო ღირებულებას და საწყის აღიარებას შორის წარდგა პირდაპირ კაპიტალში, როგორც მფლობელის გადაწყვეტილებით განხორციელებული ოპერაციის ეფექტი.

15. ნაშთები და ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან (გაგრძელება)

უმაღლესი ხელმძღვანელობის ანაზღაურება: ბასს 24 „დაკავშირებული მხარეებთან განმარტებითი შენიშვნების“ მოთხოვნების შესაბამისად, კომპანიამ განიხილა მის სტრუქტურაში უმაღლესი ხელმძღვანელობის იდენტიფიცირების საკითხი. კომპანიის მმართველობას ახორციელებს მშობელი საწარმოს ხელმძღვანელობა მათი როლებისა და პასუხისმგებლობების ფარგლებში. კომპანიას არ გააჩნია დამოუკიდებლად განსაზღვრული და ფორმალურად დანიშნული უმაღლესი ხელმძღვანელობა, რომელიც იღებს კომპანიის სახელით სტრატეგიულ და ოპერაციულ გადაწყვეტილებებს. კომპანია არ ახორციელებს კომპლექსურ საქმიანობას და მისი ყოველდღიური ოპერაციული აქტივობები მიმდინარეობს სტანდარტული პროცესების ფარგლებში. შესაბამისად, ყველა მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება მიიღება მშობელი საწარმოს მიერ, როგორც ჯგუფის საერთო მმართველობისა და მონიტორინგის ნაწილი. მიუხედავად იმისა, რომ მშობელი საწარმოს ხელმძღვანელობის შესაძლოა ეკისრებოდეს გარკვეული პასუხისმგებლობა კომპანიის მართვაზე, 2024 (და 2023) საანგარიშგებო წლებში კომპანიას არ გაუწევია პირდაპირი ანაზღაურება რომელიმე ფიზიკური ან იურიდიული პირისთვის უმაღლესი ხელმძღვანელობის ფუნქციის შესრულებისთვის.

ფინანსური გარანტიის ხელშეკრულება და დაკავშირებული რისკები: 2024 და 2023 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანია წარმოადგენს ფინანსური გარანტიის გამცემს იმ სესხზე, რომელიც მიღებულია მშობელი საწარმოსა და მისი შვილობილი კომპანიების მიერ. გარანტიის პირობების თანახმად, კომპანიის კონტროლის ქვეშ არსებული აქტივები წარმოადგენს სესხის უზრუნველყოფას, ხოლო კომპანია იღებს პასუხისმგებლობას აღნიშნული ვალდებულების არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში. ფინანსური გარანტიის ხელშეკრულება თავდაპირველად აღიარებული იყო ნულოვანი ღირებულებით, ვინაიდან ხელშეკრულების დადების მომენტში, კომპანიამ არ მიიჩნია სესხის გადაუხდელობის რისკი არსებითად სარწმუნოდ. თუმცა, საანგარიშგებო პერიოდის დასრულების შემდგომ, დაფიქსირდა შემდეგი მნიშვნელოვანი მოვლენა: სესხის გამცემმა ფინანსურმა ინსტიტუტმა მოიპოვა კონტროლი კომპანიის გრძელვადიანი აქტივების ნაწილის, რაც მიუთითებს გარანტიის რეალიზაციაზე.

კომპანიის დარჩენილი აქტივები კვლავ გამოიყენება აღნიშნული სესხის უზრუნველყოფის ფარგლებში და მათზე რჩება მოთხოვნის წვდომის რისკი. მიუხედავად ზემოაღნიშნული გარემოებებისა, კომპანიის მიერ ფასს 9-ის ფარგლებში არ განხორციელებულა მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის (ECL) აღიარება ფინანსური გარანტიის ხელშეკრულებიდან გამომდინარე. კომპანია აგრძელებს ამ ხელშეკრულების შინაარსობრივი შეფასების პროცესს და განიხილავს გარანტიის ფინანსურ შედეგებს, მათ შორის: უკვე დადასტურებული ზარალის ასახვის აუცილებლობას (დასაუბრებელი აქტივების ნაწილში) და დარჩენილი გარანტიის ნაწილში შესაძლო საკრედიტო ზარალის დადგენას მოსალოდნელი ზარალის მოდელის საფუძველზე.

კომპანია აცნობიერებს, რომ გარანტიის რეალიზაციის პირობებში შესაძლოა შეექმნას დამატებითი ზარალი, რომელიც დაკავშირებულია როგორც აქტივების შესაძლო დაკარგვასთან, ასევე ვალდებულებების გადახდევის საჭიროებასთან. საანგარიშგებო პერიოდის დასრულების შემდგომ განვითარებული მოვლენების გათვალისწინებით, კომპანია გეგმავს აღნიშნული გარანტიის ფინანსური ეფექტების სრულფასოვან გადახედვას და შესაბამის ანგარიშგების ელემენტებში მათი ასახვის უზრუნველყოფას მომავალ პერიოდებში.

16. პირობითი ვალდებულებები

სასამართლო დავები - 2022 წელს კომპანიის წინააღმდეგ დაიწყო დავა მომწოდებელმა. 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიამ არ აღიარა მომწოდებლის მიერ ვალდებულების ჯეროვნად შესრულება ძირითადი საშუალებების მშენებლობასთან დაკავშირებული მომსახურების შესყიდვასთან მიმართებით. აღნიშნული შესყიდვის ჯამური მოცულობა შეადგენს 658,000 ლარს. მომჩივანის მიერ მოთხოვნილი ჯამური თანხა შეადგენს 999,000 საიდანაც 658,000 არის ძირი, ხოლო 341,000 მიუღებელი შემოსავალი და პირგასამტეხლო. კომპანიას მიაჩნია, რომ მიაღწევს შეთანხმებას მომწოდებელთან მოლაპარაკების საფუძველზე. ხელმძღვანელობის შეფასებით დავა არის საწყის ეტაპზე, საჭიროებს დამატებით ექსპერტულ შეფასებას, აქედან გამომდინარე დავის შედეგების საიმედოდ შეფასება არ არის შესაძლებელი. აღნიშნულ სასამართლო დავასთან დაკავშირებით ანარიცხი მიუღებელ შემოსავალსა არ არის აღიარებული ფინანსურ ანგარიშგებაში და წარმოადგენს პირობით ვალდებულებას ჯამურად 143,000 ლარი. 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარებულია სავაჭრო ვალდებულება პირგასამტეხლოს ჩათვლით 856,000 ლარი (2023: 601,000 ლარი).

გადასახადები - საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში შესაძლოა განხორციელდეს სხვადასხვა ინტერპრეტაციები და ცვლილებები. გარდა ამისა, ხელმძღვანელობის საგადასახადო ინტერპრეტაციები შეიძლება განსხვავდებოდეს საგადასახადო ორგანოების ინტერპრეტაციებისაგან, კომპანიის ოპერაციები შეიძლება გასაჩივრდეს საგადასახადო ორგანოების მიერ და კომპანიას დაეკისროს დამატებითი გადასახადები, საურავები, პროცენტები. კომპანიას მიაჩნია, რომ ყველა გადასახადი გადახდილი აქვს და შესაბამისად, არანაირი ანარიცხი არ წარადგინა ფინანსურ ანგარიშგებაში. საგადასახადო ორგანოებს შეუძლიათ მიმოიხილონ კომპანიის ოპერაციები 3 წლის განმავლობაში.

17. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

უკუშესყიდვის ხელშეკრულების ვადის ამოწურვა: ბალანსის შემდგომ პერიოდში, 2025 წლის მარტში, დასრულდა კომპანიისა და ფინანსურ ინსტიტუტს შორის გაფორმებული უკუშესყიდვის ხელშეკრულება, რომელიც მოიცავდა ვენახების გამოსყიდვის ოფციონსა და უკუიჯარის მექანიზმს. აღნიშნულ ხელშეკრულებასთან დაკავშირებით, ანგარიშგების დამტკიცების თარიღისთვის მხარეებს შორის არ მომხდარა შეთანხმების გაგრძელება, რის შედეგადაც: კომპანიის მიერ ვენახებზე კონტროლი, მათ შორის გამოსყიდვის უპირატესი უფლება, შეწყდა; აქტივების გამოსყიდვის უფლება აღარ არის აქტიური და არ არსებობს იურიდიული საფუძველი მისი განხორციელებისთვის. შედეგად კომპანიამ დაკარგა კონტროლი აქტივებზე საბალანსო ღირებულებით 48,940,000 ლარი და შეწყდა 27,240,000 ლარის ფინანსური ვალდებულების აღიარება

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ მომხდარი სხვა არამაკორექტირებელი მოვლენები:

- კომპანიამ გაყიდა ორი სპეცტექნიკა, რომელიც 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარდგენილია ძირითადი საშუალებების ავტოტრანსპორტის სექციაში. 613,000 ლარის საბალანსო ღირებულების ტექნიკა, გაიყიდა 545,000 ლარად.
- შემცირდა კომპანიის საწესდებო კაპიტალი 415,000 ლარის ოდენობით;
- კომპანიამ განახორციელა შტატით მომუშავე პერსონალთან შრომითი ურთიერთობის შეწყვეტა ორმხრივი შეთანხმების საფუძველზე დამატებითი ანაზღაურების გარეშე.

მმართველობის ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

საქმიანობის აღწერა

შპს „გურჯაანი აგრო“ (შემდგომში კომპანია) წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას, რომელიც დაარსდა 2010 წელს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანიის იურიდიული მისამართია, თბილისი, საბურთალოს რაიონი, სულხან ცინცაძის ქ. 12. კომპანიის 100 % მფლობელია შპს „კახური ტრადიციული მეღვინეობა“, ხოლო საბოლოო ბენეფიციარი ზურაბ ჩხაიძე.

კომპანიის ძირითადი საქმიანობა არის ვენახების გაშენება და ყურძნის მოსავლის მოყვანა, რომლის რეალიზაციაც სრულად ხდება მშობელი საწარმოზე. კომპანიას გაშენებული აქვს ვენახები. ვენახების გაშენება დაიწყო 2019 და 2021 წლებში, სულ 534 ჰა. 2022 წლის ბოლოს ექსპლოატაციაში შევიდა 2019 წელს გაშენებული ვენახი, ჯამურად 450 ჰა. ხოლო დარჩენილი ნაწილი შევიდა ექსპლოატაციაში საანგარიშგებო პერიოდში.

2024 წელს ვენახებიდან ჯამურად მიღებულია 1,236 ტონა საფერავის ყურძენი, რომელიც ჯამურად თითქმის 2-ჯერ აღემატება 2023 წლის მოსავალს (695 ტონა). წინა პერიოდის დაბალი მაჩვენებელი მეტწილად გამოწვეულია ცუდი მოსავლიანობით, რაც განაპირობა არახელსაყრელმა კლიმატურმა პირობებმა. ღვინის ასოციაციის ინფორმაციით, 2023 წლის მოსავალი ბოლო 20 წლის განმავლობაში ყველაზე ცუდი მოსავლიანობით ხასიათდება, ხოლო 2024 წლის მაჩვენებელი ერთ-ერთი საუკეთესოა ბოლო წლების განმავლობაში.

სტრატეგია და მიზნები

2024 წლის და საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ განვითარებული მნიშვნელოვანი მოვლენებმა, მათ შორის ფინანსურ ინსტიტუტზე უკუშესყიდვის ხელშეკრულების ვადის ამოწურვის შედეგად საკვანძო აქტივებზე კონტროლის გადაცემამ, მნიშვნელოვნად შეცვალა კომპანიის ოპერაციული სტრატეგია და სამომავლო მიზნები. კომპანიის მმართველობა განმარტავს, რომ: კომპანიის მიერ ვერ ხორციელდება აქტივების მართვა და კონტროლი იმ დონეზე, რაც დამახასიათებელია ფუნქციონირადი საწარმოსთვის. არ არსებობს მოქმედი იჯარის ხელშეკრულებები და ფინანსური რესურსები, რაც მნიშვნელოვანი წინაღობაა კომპანიის საქმიანობის უწყვეტობისათვის. კომპანიის ფინანსური მხარდაჭერა როგორც მშობელი საწარმოს, ასევე სხვა მხარის მხრიდან არ არსებობს ან არ არის საკმარისი. მიმდინარე ვალდებულებები და სამართლებრივი დავები მნიშვნელოვნად აღემატება კომპანიის ფინანსურ რესურსებს, რაც ზრდის კომპანიის რისკებს და ზღუდავს მისი სტაბილურობის შესაძლებლობებს. დარჩენილი გრძელვადიანი აქტივები (სოფლის მეურნეობის ტექნიკა) არის დაგირავებული და ფაქტობრივად არ წარმოადგენს თავისუფალ რესურსს კომპანიის საოპერაციო საჭიროებებისთვის. დამატებით, კომპანიის მიერ ჩატარებული დეტალური ანალიზი აჩვენებს, რომ არ არსებობს რეალისტური და ეკონომიკურად გამართლებული ოპერაციული სცენარები, რომლებიც უზრუნველყოფდნენ კომპანიის საქმიანობის უწყვეტობას ფუნქციონირად საწარმოდ. ალტერნატიული ოპერაციული მოდელები, როგორცაა აქტივების გაყიდვა, რეორგანიზაცია ან გაერთიანება სხვა საწარმოსთან, განიხილება დაბალი წარმატების ალბათობით და არ იძლევა კომპანიის ფინანსური მდგომარეობის არსებით გაუმჯობესებას. ამ საფუძველზე, კომპანიის მმართველობა ადასტურებს, რომ ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას არ შეიძლება გამოყენებულ იქნას ფუნქციონირადი საწარმოს პრინციპი, რადგან ის არ ასახავს კომპანიის რეალურ ეკონომიკურ და საოპერაციო გარემოს. ხელმძღვანელობა მუშაობს სამომავლო სტრატეგიის განსაზღვრაზე, რომელიც ეფუძნება აქტივების მართვის, რეორგანიზაციისა და სხვა ალტერნატიული გადაწყვეტილებების მიღებას, მათ შორის შესაძლებელია კომპანიის ლიკვიდაციის სცენარის განხილვაც.

ინფორმაცია ფილიალების შესახებ

კომპანიას ფილიალები არ გააჩნია. გაშენებული ვენახები მდებარეობს კახეთის რეგიონში.

მმართველობა და სტრუქტურა

2024 წელს კომპანიას დასაქმებული ყავდა ვენახების მოვლასთან დაკავშირებული თანამშრომლები, ასევე ადმინისტრაციული თანამშრომლები. გადაწყვეტილებების მიღება ხდება ცენტრალიზებულად მშობელი საწარმოს მიერ, ასევე სტრატეგიული გადაწყვეტილებების მიღება ხდება მშობელი საწარმოს მიერ, ხოლო უშუალოდ საოპერაციო ნაწილში დასაქმებული თანამშრომლები უზრუნველყოფენ ვენახების მოვლას. 2024 წელს კომპანიაში დასაქმებული იყო საშუალოდ 186 თანამშრომელი, უმეტესი წილი დასაქმებულიდან მოდის დღიურ მომსახურე პერსონალზე.

კვლევებისა და განვითარების სფეროში ჩატარებული ღონისძიებების მიმოხილვა

კვლევა ძიების სამუშაოები არ აქვს კომპანიას საანგარიშგებო პერიოდში.

წლიურ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული თანხების შესახებ დამატებითი განმარტებები

2024 წლის განმავლობაში კომპანიის ოპერაციებს და ფინანსურ შედეგებზე მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინეს ფინანსურმა სიძნელეებმა, რაც განსაკუთრებით აისახა ვენახების, როგორც ბიოლოგიური აქტივების, მოვლის ხარისხზე. ამ პერიოდში, კომპანიის მიერ განხორციელებული ვენახების მოვლისა და მართვის პროცესი მნიშვნელოვნად ჩამორჩებოდა თანამედროვე საუკეთესო პრაქტიკებსა და სტანდარტებს, რომლებიც მიღებულია სოფლის მეურნეობის სფეროში. აღნიშნული მდგომარეობა განპირობებული იყო არა მხოლოდ ფინანსური რესურსების შეზღუდვით, არამედ ექსპლუატაციისთვის საჭირო ინვესტიციების არარსებობითა და ოპერაციული შეზღუდვებით. მოვლის ხარისხის შემცირება მოქმედებს როგორც ვენახების პროდუქტიულობაზე, ასევე მათ გრძელვადიან ნაყოფიერებაზე, მომავალი მოსავლის ხარისხსა და მოცულობაზე, რაც ეწინააღმდეგებოდა კომპანიის სტრატეგიულ მიზნებსა და განვითარების გეგმებს ნორმალური ფუნქციონირების პირობებში. ბალანსის შემდგომ პერიოდში კომპანიამ სრულად დაკარგა კონტროლი აღნიშნულ აქტივებზე, რამაც ფაქტობრივად გამოიწვია კომპანიის სამომავლო სტრატეგიის შეწყვეტა ვენახებთან მიმართებაში.

ინფორმაცია წილის და აქციების შეძენის შესახებ

საანგარიშგებო წლის მანძილზე არ განუხორციელებია წილის და აქციების შეძენა.

ძირითადი რისკები და გაურკვევლობები

ფინანსური რისკები : კომპანია დგას მნიშვნელოვანი ფინანსური სირთულეების წინაშე. დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ ფინანსური ანგარიშგების შენიშვნა 2.

საოპერაციო რისკები : დღიური მუშახელის ნაკლებობა - მომსახურების გაძვირება - კომპანიას დროის კონკრეტულ პერიოდში სჭირდებოდა დღიური მუშახელი დიდი ოდენობით, ძირითადად სეზონური სამუშაოსთვის ივლისი-სექტემბერში. კომპანიას არ ქონდა შემუშავებული რისკის განეიტრალების ეფექტური მექანიზმები.

სტიქიური უბედურების რისკი - კომპანიის ძირითადი საქმიანობა ვენახების გაშენება და ყურძნის მოსავლის მოყვანა უკავშირდება სტიქიური უბედურების რისკებს, რაც გამოიხატება პოტენციურ უხვ ნალექში (სეტყვა), ან მაღალ ტემპერატურაში (გვალვა). კომპანიას არ ქონდა შემუშავებული რისკის განეიტრალების ეფექტური მექანიზმები.

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის მმართველობის ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2025 წლის 24 ოქტომბერს შემდეგი პირის მიერ:

გენერალური დირექტორი

ალექსანდრე ჩხაიძე

შპს „გურჯაანი აგრო“

მმართველობის ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ლარში)

წლიურ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული თანხების შესახებ დამატებითი განმარტებები

2024 წლის განმავლობაში კომპანიის ოპერაციებს და ფინანსურ შედეგებზე მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინეს ფინანსურმა სიძნელეებმა, რაც განსაკუთრებით აისახა ვენახების, როგორც ბიოლოგიური აქტივების, მოვლის ხარისხზე. ამ პერიოდში, კომპანიის მიერ განხორციელებული ვენახების მოვლისა და მართვის პროცესი მნიშვნელოვნად ჩამორჩებოდა თანამედროვე საუკეთესო პრაქტიკებსა და სტანდარტებს, რომლებიც მიღებულია სოფლის მეურნეობის სფეროში. აღნიშნული მდგომარეობა განპირობებული იყო არა მხოლოდ ფინანსური რესურსების შეზღუდვით, არამედ ექსპლუატაციისთვის საჭირო ინვესტიციების არარსებობითა და ოპერაციული შეზღუდვებით. მოვლის ხარისხის შემცირება მოქმედებს როგორც ვენახების პროდუქტიულობაზე, ასევე მათ გრძელვადიან ნაყოფიერებაზე, მომავალი მოსავლის ხარისხსა და მოცულობაზე, რაც ეწინააღმდეგებოდა კომპანიის სტრატეგიულ მიზნებსა და განვითარების გეგმებს ნორმალური ფუნქციონირების პირობებში. ბალანსის შემდგომ პერიოდში კომპანიამ სრულად დაკარგა კონტროლი აღნიშნულ აქტივებზე, რამაც ფაქტობრივად გამოიწვია კომპანიის სამომავლო სტრატეგიის შეწყვეტა ვენახებთან მიმართებაში.

ინფორმაცია წილის და აქციების შეძენის შესახებ

საანგარიშგებო წლის მანძილზე არ განუხორციელებია წილის და აქციების შეძენა.

ძირითადი რისკები და გაურკვევლობები


ფინანსური რისკები : კომპანია დგას მნიშვნელოვანი ფინანსური სირთულეების წინაშე. დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ ფინანსური ანგარიშგების შენიშვნა 2.

საოპერაციო რისკები : დღიური მუშახელის ნაკლებობა - მომსახურების გაძვირება - კომპანიას დროის კონკრეტულ პერიოდში სჭირდებოდა დღიური მუშახელი დიდი ოდენობით, ძირითადად სეზონური სამუშაოსთვის ივლისი-სექტემბერში. კომპანიას არ ქონდა შემუშავებული რისკის განეიტრალების ეფექტური მექანიზმები.

სტიქიური უბედურების რისკი - კომპანიის ძირითადი საქმიანობა ვენახების გაშენება და ყურძნის მოსავლის მოყვანა უკავშირდება სტიქიური უბედურების რისკებს, რაც გამოიხატება პოტენციურ უზგ ნალექში (სეტყვა), ან მაღალ ტემპერატურაში (გვალვა). კომპანიას არ ქონდა შემუშავებული რისკის განეიტრალების ეფექტური მექანიზმები.

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის მმართველობის ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2025 წლის 24 ოქტომბერს შემდეგი პირის მიერ:

გენერალური დირექტორი



ალექსანდრე ჩხაიძე

